პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 2 მარტი, 1949 წ. № 43 (8346). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა ადამიანებზე სტალინური ზრუნვის ახალი გამოვლინება—„პრავდის" 1-III მოწინავე (1-ლი გვერდი).
მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).
საქართველოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ მასობრივი მოხმარების საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასების ახალ შემცირებას (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო—მინდვრად გალახთესვის ზოგიერთი საკითხი (მე-2 და მე-3 გვერდი).
პრესის მიმოხილვა (მე-2 გვერდი).
ალიო მირცხულავა — ნატვრა (მე-3 გვერდი).
ბავშვების საყვარელი მუსიკოსი (მე-3 გვერდი).
სანიმუშო სისუფთავის დამყარებისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ადამიანებზე სტალინური ზრუნვის ახალი გამოვლინება

ჩვენი ხალხი უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით, თავისი საბჭოთა სამშობლოსათვის დიდი სიამაყით შეხვდა გუშინ რადიოთი გადმოცემულს და დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ". სოციალისტური სახელმწიფოს ყველა მშრომელის გული გამსჭვალულია ბოლშევიკების პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე მადლობით საბჭოთა ადამიანისათვის, ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის მამობრივი ზრუნვის გამო.

სოციალისტური წყობილების დიდმა უპირატესობამ საშუალება მისცა საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებული წარმატებანი მოეპოვებინათ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

უკვე 1947 წლის დეკემბერში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ფულის რეფორმა, გაუქმდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათები, შემოღებულ იქნა მასობრივი მოხმარების საქონლის ერთიანი შემცირებული სახელმწიფო საცალო ფასები. ფასების შემცირების ამ პირველ ეტაპზე მასობრივი მოხმარების საქონლის გაიაფებამ მარტო სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში წლის მანძილზე სულ ცოტა 57 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს თანხა წმინდა ზარალს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ეს ზარალი დაიფარა შრომის ნაყოფიერების ზრდის, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეოხებით. მაგრამ ეს უდიდესი თანხა—57 მილიარდი მანეთი—ამავე დროს წმინდა მოგება იყო მოსახლეობისათვის.

ეს მოგება უფრო დიდი აღმოჩნდა იმის მეოხებით, რომ სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებამ გამოიწვია ფასების შემცირება საკოლმეურნეო და კოოპერაციულ ბაზარზე. ამან თავის მხრივ უზრუნველყო საქონლის გაიაფება კიდევ სულ ცოტა 29 მილიარდი მანეთით. შედეგად ჩვენმა მოსახლეობამ წლის განმავლობაში საცალო ვაჭრობის ყველა სექტორში ფასების შემცირებით სულ 86 მილიარდამდე მანეთი მოიგო!

„ეს იმას ნიშნავს, — ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელსაც დღეს „პრავდა" აქვეყნებს, — რომ პირველ ეტაპზე ფასების შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მანეთის მყიდველობითი უნარი, გაუმჯობესდა მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, სერიოზულად გადიდდა მუშებისა და ინტელიგენციის ხელფასი, მნიშვნელოვნად შემცირდა გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის ყიდვისას".

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობამ, რაც გრძელდება და განუწყვეტლივ მატულობს, მოსახლეობისათვის საქონლის წარმოების ზრდამ და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში მიღწეულმა ახალმა წარმატებებმა უზრუნველყვეს ფასების შემდგომი შემცირების შესაძლებლობა. მთავრობამ და პარტიამ ფასების ამ ახალი შემცირების განხორციელება 1948 წელსვე დაიწყეს. დღეს, 1949 წლის 1 მარტს, ეს შემცირება მთავრდება.

ეს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების მეორე ეტაპია. იგი გამოიწვევს მასობრივი მოხმარების საქონლის დამატებითს გაიაფებას მარტო საცალო ვაჭრობის სახელმწიფო სექტორის ხაზით წელიწადში სულ ცოტა 48 მილიარდი მანეთით. სახელმწიფო ბიუჯეტის ამ ზარალს საბჭოთა მთავრობა დაფარავს მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებების საშუალებით, მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, რომელთა გადალახვაც საჭირო იქნება.

სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება გამოიწვევს ფასების დაუყოვნებლივსა და ძირითადად ასეთსავე შემცირებას კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ვაჭრობაში, რაც მოსახლეობას მისცემს სულ ცოტა 23 მილიარდ მანეთ დამატებითს მოგებას.

ამრიგად, საცალო ვაჭრობის ყველა სექტორში ფასების შემცირების ახლანდელ, მეორე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წლის განმავლობაში მოიგებს დაახლოებით 71 მილიარდ მანეთს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ფასების ახალი შემცირების შედეგად კვლავ მნიშვნელოვნად გადიდდება მანეთის მყიდველობითი უნარი და გაუმჯობესდება მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, კვლავ სერიოზულად გაიზრდება მუშებისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდება გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის ყიდვისას".

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ღონისძიებაში ახალი ძალით გამოვლინდა დიადი სტალინური ზრუნვა მშრომელთათვის, მათი კეთილდღეობისა და კულტურის ზრდისათვის.

— ფასების ამ შემცირების შემდეგ, — განაცხადა გუშინ მოსკოვის ფაბრიკა „პარიზის კომუნის" სტახანოველმა ამხ. სოროკინამ, — ყოველი ოჯახი რეალურად იგრძნობს მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მე წვრილშვილი დედა ვარ, და ჩემთვის, ისევე როგორც ყველა ჩვენგანისათვის, ფასების ეს შემცირება შესანიშნავი სტალინური საჩუქარია...

ამ უბრალო სიტყვებით გამოთქმულია ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა ფიქრი და გრძნობა.

პროდუქტებისა და საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც ხორციელდება საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობას, იმას, რომ სოციალისტური წყობილება განუზომლად უკეთესია ძირმპალ კაპიტალისტურ წყობილებაზე, კაპიტალიზმის ქვეყნებში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, გრძელდება წარმოების დაქვეითება, მატულობს ქაოსი და ხვალინდელი დღისადმი ურწმუნობა, იზრდება უმუშევართა არმია, ძლიერდება ინფლაცია, რაც ამცირებს მშრომელთა ისედაც მცირე მყიდველობით უნარს, მცირდება რეალური ხელფასი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოანგარიშების მიხედვით ამერიკის ქალაქის ყოველი მეშვიდე მცხოვრები შიმშილობს. ფერმერთა დაახლოებით ორ მესამედს ვერ მიუღწევია ნორმალური საარსებო დონისათვის, ხოლო 10 მილიონი სოფლელი მოსახლეობა მძიმე გაჭირვებაში ცხოვრობს. ამავე დროს იმპერიალისტების მოგებამ უმაგალითო ოდენობას მიაღწია და ახლაც იზრდება. გამდიდრების გაუმაძღარი წყურვილით შეპყრობილი იმპერიალიზმი წურბელასავით სწოვს მშრომელთ სისხლს, ქანცს უწყვეტს მათ, განწირული ჰყავს ისინი ულმობელი ექსპლოატაციისათვის, უმუშევრობისათვის, შიმშილისა და სიღატაკისათვის.

ააშენეს რა სოციალიზმი, ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა სამუდამოდ გაითავისუფლეს თავი კაპიტალის მონათა ძნელი და შავბნელი ხვედრისაგან, თავიანთი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, თავიანთი ბედნიერების შემოქმედნი გახდნენ. საბჭოთა წყობილებამ ჩვენი ხალხი გამოიყვანა თავისუფალი სოციალისტური ცხოვრების გზაზე, ცხოვრებისა, რომელიც აღსავსეა სასიხარულო შრომითა და შემოქმედებითი აღფრთოვანებით. ეს დიადი მონაპოვარი იმის შედეგია, რომ ჩვენ ხელმძღვანელობას გვიწევენ ბოლშევიკების ბრძენი პარტია, მშობლიური საბჭოთა მთავრობა, რომ ჩვენ ახალ-ახალი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებს და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიგვყავართ დიდ სტალინს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას უდიდესი კმაყოფილებითა და დიდი სიხარულით შეხვდა მთელი ხალხი. იგი საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის, უღვივებს მათ მისწრაფებას იმუშაონ უკეთ, იმუშაონ უფრო ნაყოფიერად. ეს მკაფიოდ გამოთქვა გუშინ კრებაზე სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის სტახანოველმა ამხ. ბელოუსოვმა. „ჩვენი დიდი მადლობა,—განაცხადა მან, — მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას, დიდ სტალინს, საბჭოთა მთავრობას მშრომელთათვის მამობრივი ზრუნვის გამო. ვიმუშავებთ უფრო კარგად, გამოვუშვებთ მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას, შევამცირებთ მის თვითღირებულებას, განვამტკიცებთ სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას".

მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისათვის პარტიისა და მთავრობის ახალი ზრუნვის პასუხად საბჭოთა ხალხი გაამრავლებს თავის შრომითს ღონისძიებებს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე ახალ-ახალი წარმატებისათვის ბრძოლაში. უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესებისა და თვითღირებულების განუხრელად შემცირებისათვის. კვლავაც უფრო მეტი ენერგიით უნდა განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, გავადიდოთ ზეგეგმითი დაგროვება, დავაჩქაროთ საბრუნავი სახსრების ბრუნვა. ყველგან განვახორციელოთ მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი, მივაღწიოთ იმას, რომ მოწყობილობა, ნედლეული, მასალა, სათბობი, ელექტროენერგია, ფულადი სახსრები რაც შეიძლება ნაყოფიერად იქნას გამოყენებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა ვაჭრობის, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის, შემდგომ გაშლას, ყოველნაირად უნდა გავაუმჯობესოთ სავაჭრო ქსელის მუშაობის კულტურა, ხარისხი.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი უფრო მეტი ენერგიით იშრომებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, განუხრელად ივლის წინ, კომუნიზმისაკენ, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

„პრავდის" 1/III მოწინავე

საქართველოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ მასობრივი მოხმარების საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასების ახალ შემცირებას

ჩვენი ცხოვრება სულ უფრო საამური ხდება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა კოლექტივში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების ახალი შემცირების შესახებ. ადრე დილით მუშაობის დაწყებამდე და შემდეგ — შესვენების დროს საამქროებში მუშები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ კმაყოფილებას. მშრომელთა კეთილდღეობაზე პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვის პასუხად მუშებმა პირობა დასდეს უკეთესად იმუშაონ, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, მომჭირნეობით ხარჯონ ნედლეული და მასალები.

სამჭედლო საამქროს აგიტატორს მ. იმერლიშვილს დადგენილების რადიოთი გადაცემისას ბლოკნოტში ჩაეწერა მისი შინაარსი და შესვენების დროს ამის შესახებ დაწვრილებით უამბო მუშებს.

— ბედნიერი ვართ ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის ადამიანები,—თქვა სტახანოველმა მჭედელმა ვ. გამხუაშვილმა.— ჩვენზე ზრუნავს მთავრობა, ჩვენზე ზრუნავენ კომუნისტური პარტია და დიდი სტალინი. ჩვენი შრომა დიდად ფასდება. ჩვენი ცხოვრება სულ უფრო საამური ხდება. ყოველივე ეს ახალი შრომითი მამაცობისაკენ მოგვიწოდებს. ამ სასიხარულო ცნობის აღსანიშნავად ვდგები სტახანოვურ ვახტზე და გეგმას სამმაგად შევასრულებ.

სტახანოვურ ვახტზე დადგნენ აგრეთვე ახალგაზრდა მჭედელი მ. ვაშაკიძე, სტახანოველი ს. ტურაშვილი და სხვები. მგლინავთა ბრიგადამ და სტახანოველ ა. მარშანიას მჭედელთა ბრიგადამ იკისრეს 200 პროცენტით შეასრულონ მარტის გეგმა.

— ნახევარი საუკუნეა ამ ქარხანაში ვმუშაობ, — თქვა სალითონო საამქროს სტახანოველმა მეყალიბე თ. ლორთქიფანიძემ. — მეფის ხელისუფლების შავბნელ ხანაში ბევრი ტანჯვა გადამიტანია. საბჭოთა წყობილებამ კეთილი ცხოვრების შესაძლებლობა მომცა. საბჭოთა მთავრობის ხელშეწყობით სასახელოდ აღვზარდე შვილები: ერთი მათგანი ინჟინერია, მეორე — მასწავლებელი. ამ მოხუცებულობის ჟამს ჩემი ხელფასი 2.000 მანეთს აღწევს. გულით მიხარია, რომ სტალინურ ეპოქაში ვცხოვრობ. მოხუცებულობის მიუხედავად, უკვე შევასრულე ექვსნახევარი წლის ნორმა. მომავალშიც მთელი ენერგიით ვიმუშავებ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყველა საამქროში გაიმართა საუბრები პარტიისა და მთავრობის დადგენილების ფართოდ გასაცნობად. მუშებმა იკისრეს გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი.

დადგნენ სტახანოვურ ვახტზე

გუშინ დილით, მუშაობის დაწყების წინ შეიკრიბნენ საორთქლმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს მუშები და ერთმანეთს გაუზიარეს ის უდიდესი სიხარული, რაც მათში გამოიწვია პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

— ეს დადგენილება, — განაცხადა ცნობილმა სტახანოველმა ბ. ხმიადაშვილმა, — მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი დადასტურებაა. მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ცხოვრების პირობები დღითი დღე უარესდება, ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად მაღლდება მშრომელთა საარსებო დონე, მტკიცდება საბჭოთა მანეთის კურსი, იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით საბჭოთა მთავრობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას და გენიალურ ბელადს დიდ სტალინს. ფასების ეს შემცირება პირადად მე ყოველთვიურად მაძლევს 500 მანეთის ეკონომიას.

ბ. ხმიადაშვილი დადგა სტახანოვურ ვახტზე და დღის ბოლომდე 4 ნორმა შეასრულა.

სტახანოველმა ზეინკალმა ვ. ნიკოლეიშვილმა გაამზადა საორთქლმავლე დგუშები და ორი დღის ნორმაზე მეტი გამოიმუშავა.

სტახანოვურ ვახტზე დადგა აგრეთვე ბ. ტურაშვილის სატენდერე ბრიგადა, რომელმაც გადასაბმელად გაამზადა ერთი ორთქლმავლის ტენდერი და ამით დღიური დავალება ორმაგად გაანაღდა.

ფასების ახალ შემცირებას ასეთივე სიხარულით შეხვდნენ სხვა საამქროების მუშებიც. მათ იკისრეს უფრო გააძლიერონ მუშაობა, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, მომჭირნეობით ხარჯონ ნედლეული, მასალები, თავდადებით იბრძოლონ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მშრომელთა მადლობა

ცნობას მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. გუშინ სასადილო შესვენებისა და პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ აგიტატორებმა მუშებს გააცნეს გაზეთებში გამოქვეყნებული ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების შინაარსი.

ფაბრიკის მთელი კოლექტივის აღფრთოვანება გამოხატა საქსოვი საამქროს მეექვსე ბრიგადის წარჩინებულმა სტახანოველმა ეკატერინე ურთაშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— პარტია და მთავრობა, პირადად დიდი სტალინი მუდამ უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის. ამ მზრუნველობისა და ყურადღების საუკეთესო დადასტურება იყო 1947 წლის დეკემბერში ფულის რეფორმის განხორციელება, საბარათო სისტემის გაუქმება და კულტურულ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რამაც უზრუნველყო მშრომელთა კეთილდღეობის ერთიორად გაუმჯობესება. ამ მზრუნველობის ახალ, საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებული დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ. ოთხდაზგოსანი სტახანოველი ვარ. ვმუშაობ მაღალხარისხოვანი ქსოვილის — კრეპდეშინის ქსოვაზე და დავალებას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ვასრულებ. შარშან 15.644 მეტრი ქსოვილი მოვქსოვე და გეგმა 135,5 პროცენტით შევასრულე. იანვარში სამშობლოს მივეცი 1.502 მეტრი ქსოვილი. უკეთესი საწარმო მაჩვენებელი მქონდა თებერვალში. ჩვენი ბრიგადა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კრასნოხოლმელი ფეიქრის ა. ჩუტკიხის თაოსნობას და იკისრა გამოუშვას მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია, სავსებით აღმოფხვრას წუნი მუშაობაში და ამავე დროს საწარმოო დავალებებიც გადაჭარბებით შეასრულოს. სტახანოვური შრომა მაღალ ხელფასს უზრუნველყოფს. პირადად ჩემი თვიური ხელფასი 1.500-დან 1.800 მანეთამდე აღწევს, რაც შეძლებული და კულტურული ცხოვრების საშუალებას მაძლევს. ფასების ახალი შემცირებით უფრო გაუმჯობესდება ჩემი და ჩემი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა. მადლობა ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას, დიდ სტალინს, რომ ისინი ყოველთვის ასე ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ასეთივე აღფრთოვანება გამოთქვეს ოთხდაზგოსანმა სტახანოველებმა ეკატერინე მეხრაძემ, თამარ კოპალიშვილმა, კლავდია შიროვამ, ალექსანდრა ნადეინამ, მეექვსე ბრიგადის ქვეოსტატმა ანდრო ხაჩატუროვმა და სხვებმა.

უხვი მოსავლის მოსაყვანად

სტალინირი. (საკ. კორ.). ცნობამ მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სამხრეთ ოსეთის მშრომელებში.

სტალინირის რაიონის სოფელ დიდიძარცემის კოლმეურნეობის სტახანოველმა მ. გოგიძემ თქვა:

— მშობლიური სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს. უძლეველია ჩვენი სამშობლო. პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა ცხოვრების უკეთ მოწყობას. ჩვენ უფრო თავდადებულად ვიმუშავებთ საკოლმეურნეო მინდვრებში უხვი მოსავლის მოსაყვანად.

მარგანეცის მაღაროების მუშათა სიხარული

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. ცნობილმა სტახანოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კ. ლავთაძემ განაცხადა:

— პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობისათვის სტალინური მზრუნველობის ახალ გამოხატულებას. ამას ჩვენ ვუპასუხებთ მძლავრი შემოქმედებითი შრომის უფრო მეტად გაჩაღებით, სამშობლოს მივცემთ მეტ მარგანეცს.

ჭიათურის მაღაროებში ტარდება მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრებები, რომლებზეც სიტყვით გამოსული მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები მადლობას უთვლიან პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს საბჭოთა ადამიანებზე მშობლიური მზრუნველობისათვის. ისინი იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის საპროგრამო დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას

— ფასების ახალმა შემცირებამ დიდად აღმაფრთოვანა, — თქვა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა მღარავმა ლ. გოქაძემ. — ეს ხელს შემიწყობს უფრო ავამაღლო შრომის ნაყოფიერება, გაცილებით უკეთ დავაკმაყოფილო ჩემი ოჯახის მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილებანი. ორ წელიწადში 9 წლის ნორმა გამოვიმუშავე. ყოველთვიურ დავალებას 400-500 პროცენტით ვასრულებ. პირობას ვიძლევი უფრო გავადიდო შრომის ნაყოფიერება და მეტი პროდუქცია მივცე სამშობლოს.

სტახანოველმა მრანდავმა ვ. კვატაშიძემ განაცხადა:

— თვითეული მშრომელის მოვალეობაა ამ ახალ მზრუნველობას უპასუხოს მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებით. პირობას ვიძლევი ყოველთვიური დავალება ერთისამად გავანაღდო და ამავე დროს გამოვუშვა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდა ქარხნის მთელი კოლექტივი. გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს სტახანოველმა ზეინკალმა შ. ომანიძემ, მჭედელმა ა. რომელაშვილმა და ასობით სხვა სტახანოველმა.

მკერავთა სიტყვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ" უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი.

დილის შესვენებისას აგიტატორებმა საამქროებში ჩაატარეს საუბრები პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილების შესახებ.

ფაბრიკის მუშათა ერთსულოვანი აზრი გამოხატა პირველი საამქროს სტახანოველმა ლიუდმილა ბართაიამ, რომელმაც თქვა:

— დღეს ნამდვილი ზეიმის დღეა. დიდი მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენს საჭიროებებზე მშობლიური მზრუნველობისათვის. დიდი სტალინის ასეთ ყურადღებას ვუპასუხოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებით, მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი საწარმოო რესურსები ფაბრიკის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში და უფრო ადრე შესასრულებლად.

საამქროებში აგიტატორთა საუბრების შემდეგაც მუშები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ სიხარულს. —მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი პროდუქცია, ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვიბრძოლოთ ზეგეგმითი დაგროვებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების უფრო მეტად განმტკიცებისათვის! — ასეთია მუშათა საერთო აზრი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი, კრემლი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა და ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების დადების მესამე წლისთავის დღეს გთხოვთ თქვენ და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობას მიიღოთ მთელი მონღოლი ხალხის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი უღრმესად მხურვალე მადლობა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და აყვავებისათვის ფასდაუდებელი, უანგარო ძმური დახმარებისა და მზრუნველობის გამო.

ჩვენს მთავრობებს შორის 1946 წლის თებერვალში დადებული ხელშეკრულება მოასწავებს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების ურღვევ გარანტიას და საბჭოთა კავშირის სამართლიანი საგარეო პოლიტიკის დიადი პრინციპების ახალ დადასტურებას, პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისაკენ, დიდი და მცირე ხალხების სახელმწიფო სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ.

მონღოლი ხალხის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ვუსურვებ მოძმე საბჭოთა ხალხს შემდგომ წარმატებას მის დიდ შემოქმედებით შრომაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში და გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების შემდგომი განვითარებისა და აყვავების საკეთილდღეოდ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მარშალი ჩოიბალსანი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მარშალ ჩოიბალსანს

ულან-ბატორი

მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მესამე წლისთავის გამო გამოთქმული მეგობრული მილოცვისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელშეკრულება და ჩვენს ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას და მათი კეთილდღეობის აღმავლობას.

ი. სტალინი

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი

პარტიული აქტივის კრებებზე

ბათუმის გემთსარემონტო ქარხნის საქვაბე-საკორპუსო საამქროს უფროსმა ამხ. პ. ჯორბენაძემ ინალიზი გაუკეთა ქარხნის ჩამორჩენილობის მიზეზებს და გააკრიტიკა ქარხნის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა იმის გამო, რომ ქარხანაში ცუდად დგას კადრების შეჩრეკვისა და განაწილების საქმე, ნაკლები ზრუნვა ახალგაზრდა კადრებისადმი და სხვ.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. ყურშუბაძემ თავისი სიტყვა მიუძღვნა საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენილობის აღმოფხვრის, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების ღონისძიებებს.

სავაჭრო ნავსადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ტყეშელიაძემ და რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანმა ამხ. გ. თოთიბაძემ აქტივს მოუთხრეს იმის შესახებ, თუ როგორ არის გაძლიერი მათ ორგანიზაციებში XIV ყრილობის დადგენილებათა პრაპაგანდა და რა ზომებია მიღებული ტრანსპორტის მუშაობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მთავარნათმმარაგების ბათუმის სამმართველოს მმართველმა ამხ. გ. ნიკოგოსიანმა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ს. ვარშანიძე, კავშირგაბმულობის სოფლის კანტორის უფროსმა ამხ. ჩხიკვაძემ, აჭარის სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ხალვაშმა და სხვებმა.

აქტივის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ.

* * *

სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც 26 თებერვალს შედგა, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებისა და ს.სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. იმნაძე. იგი ვრცელად შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც ყრილობამ დაუსახა საქართველოა ბოლშევიკებს.

მომხსენებელი შეეხო ქ. სტალინირის კომუნალური მეურნეობის განვითარების საკითხს. კომუნალური სახლების ნაწილი გადაუდგებელ რემონტს საჭიროებს. ქალაქში დღემდე არსებული წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. შარშან დაიწყო წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა. ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სამრეწველო ამოცანაა ყველა ზომა მიიღონ წყალსადენის მშენებლობის დასამთავრებლად იელისის დამდეგისათვის.

დიდი მუშაობაა გათვალისწინებული ქ. სტალინირის შემდგომ კეთილმოწყობისათვის: მოასფალტდება ქუჩები, გაგრძელდება სამუშაოები ქალაქის გასამწვანებლად. წელს ქალაქის ქუჩების ნაპირებზე დამატებით დაირგება 50.000 ძირი დეკორაციული ძეცნარე.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობა. როიც ქალაქის მშენებლობაში ხე-ტყის მასალის დიდ ნაკლებობა განიცდიან, ხე-ტყის სახერხი ქარხანა მეტ წილ დროს ერრძო პირების მასალის დასაჭრაზე ანდომებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. სტალინირის აგურის ქარხანა.

შეეხო რა კაჯაეევის სახელობის სტალინირის ხე-ტყის კომბინატის მუშაობას, ამხ. ა. იმნაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კომბინატის კოლექტივმა საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს გამომშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

მომხსენებელი შეეხო ოლქში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხს. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსავლიანობის ზრდას, კოლმეურნეობებში თესლბრუნვის ფართოდ დანერგვას, ახალი სახნავ-სათესი ფართობების ათვისებას.

— სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს, — თქვა მომხსენებელმა, — მაქსიმალურად გამოიყენონ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ოლქში მევენახეობა და მეხილეობის უფრო სწრაფად განვითარებისათვის. მომდინარე წელს ოლქის კოლმეურნეობებმა ხეხილის ახალი ბაღი უნდა გააშენონ 80 ჰექტარზე, ვენახი — 25 ჰექტარზე.

ამხ. ა. იმნაძემ თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

— სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკებმა, —ამბობს დასასრულ ამხ. ა. იმნაძე,— თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაუდონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, შეუპოვრად იბრძოლონ მათი განუხრელად განხორციელებისათვის.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. გაბარაევმა ილაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხორციელდება ქალაქის კეთილმოსაწყობად. უკანასკნელ ხანებში ქალაქში აშენდა ასფალტის ქარხანა, რაც ხელს შეუწყობს ქუჩების მოასფალტების დაჩქარებას. გაუუჯობესებას მოითხოვს ქალაქის ელექტრომეურნეობა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ე. ჯაბიევი (პედაგოგიური ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი), გ. მელოიევი (პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი), ა. მამისაშვილი (გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი) და სხვ.

განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

* * *

ქუთაისის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებისა და ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ.

—საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობამ, — განაცხადა მან,—რომელმაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პროგრამა დასახა, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრა, ქარხნის მშენებლობის დაჩქარება, რათა მან მეოთხე ხუთწლედით დადგენილ ვადებში მოგვცეს პროდუქცია, ქუთაისის ბოლშევიკების ღირსების საქმეა. ქარხანაში „ჯეროვანი“ ყურადღება არ ექცევა სამუშაო ადგილის მომზადებას, რაც იწვევს მოცდენას, არის მუშათა დენადობა, მთლიანად არ არის გამოყენებული მექანიზმები, ზოგჯერ დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი. მშენებლები ვერ ასრულებენ დავალებებს. ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროდ დაენერგოთ რიტმული მუშაობა, შემოვიღოთ მუშაობის ყოველდღიური გრაფიკი, მტკიცე პარტიული და ადმინისტრაციული კონტროლი დავაწესოთ მისი შესრულებისადმი.

ჩამორჩენა გვაქვს მსუბუქი მრეწველობის ხაზით სამშენებლო სამუშაოთა დარგში. ამაზე მიგვითითა თვითონ საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ა. ჩარგეანმა. ცუდად მუშაობს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო კანტორა. აღსანიშნავია მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ფართოდ დაინერგოს ერასნოხოლმკის კამეოლკომბინატის ბრიგადირის ა. ჩუტკიხის გამოცდილება, უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

— ჩვენი წარმატებანი, — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. გ. ნარსია, — დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების უნარიან მუშაობაზე. იმ დიდი ამოცანების განხორციელება, რომელიც ყრილობამ დაგვისახა, მოითხოვს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსულმა საავტომობილო ქარხნის მშენებლობის უფროსმა ამხ. ს. ოდიშარიამ ილაპარაკა იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც აქვთ მშენებლებს მუშაობაში. მიმდინარე წელი, —თქვა მან, — მშენებელთა კოლექტივმა ერთგვარი წარმატებით დაიწყო, გადაპარბებით შესრულდა იანვრის დავალება. მთავრობის მიერ მოცემულ ვადებში პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა რესურსებისა და საშუალებათა გამოყენება, მშენებელთა კოლექტივის მტკიცედ დარაზმვა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბ. ბუკიამ (საავტომობილო ქარხნის დირექტორი), კ. ტყაბაძემ (საავტომობილო ქარხნის მშენებლობის პარტბიუროს მდივანი), ლ. ჭელიძემ (პედინსტიტუტის დირექტორი), მ. გონგლაძემ (კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი) და სხვ.

განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დონისძიება.

პრესის მიმოხილვა

გაზეთი კარგად ეხმარება ეროვნულ ორგანიზაციებს

გაზეთი „ლენინელი“—საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო (ბასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. დ. ლილუაშვილი) კარგად აშუქებს პარტიულ ცხოვრებას. თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება მასალა პარტიულ მუშაობაზე.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ათი წლისთავს გაზეთმა მოწყნავე წერილი და მთელი გვერდი მიუძღვნა.

გაზეთმა ფართოდ გააშუქა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელისათვის მზადებისა და დაწყების საკითხი. 1948 წლის 5 ოქტომბრის ნომერში ამ საკითხს მიეძღვნა მოწონიანი წერილი და სპეციალური განყოფილება. მოწონიანში აღნიშნულია, თუ როგორ ეგზადებოდნენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ახალი სასწავლო წლისათვის. წერილში ნათქვამია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს გასული წლის ნაკლოვანებანი და წელს უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ მუშაობას, განყოფილებაში მოთავსებულია პროპაგანდისტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, და წრის მსმენელის წერილები. აქვე დაბეჭდილი რაიკომის პარტკაბინეტის გამგის წერილი გვიამბობს, როგორ ეზადებოდა ზესტაფონის პარტიული ორგანიზაცია ახალი სასწავლო წლისათვის, რა ღონისძიებანი განხორციელდა იმისათვის, რომ პარტიული სწავლების გარეშე არ დარჩენილიყო არც ერთი კომუნისტი.

1948 წლის 14 ნოემბრის ინტერიუილი დადგენილების 10 წლისთავთან დაკავშირებით „ლენინელში“ დაბეჭდა ბოწონიანე წერილი და სპინტერესო მასალები პარტიული განათლების საკითხზე.

გაზეთი სამართლიანად აკრიტიკებს იმ კომუნისტებს, რომლებიც უდარდელობას იჩენენ და არ ზრუნავენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის. 1949 წლის 15 თებერვლის ნომერში რუბრიკის ქვეშ „პარტიული ცხოვრება“ გაზეთმა დაბეჭდა 3 კორესპონდენცია. აქ იგი აკრიტიკებს სავაგონო საამქროს პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთ კომუნისტს, რომლებიც სისტემატიურად აცდენენ მეცადინეობას. კომუნისტ ო. კვირიკაშვილს 20 მეცადინეობიდან 14 გაუცდენია ასევე ბევრი გაცდენა აქვთ კომუნისტებს ნ. დონლაძეს, ს. ლაცაბიძეს და გ. გურულს, ხოლო სავაგონო საამქროს პარტიული ორგანიზაცია ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით უყურებს.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესასრულებლად მასების დარაზმისათვის დიდი როლი აკისრია ბოლშევიკური აგიტაციას. „ლენინელს“ სწორად აქვს გაფასებული ეს ამოცანა და ამიტომაა, რომ ხშირად ნახავთ მის ფურცლებზე მასალებს საagიტაციო მუშაობაზე, წერილებს აგიტატორთა გამოცდილებაზე. ამასთანავე იგი აააშკარავებს ნაკლოვანებებს და იბრძვის მათი გამოსწორებისათვის. გაზეთმა გააკრიტიკა სოფელ კლდეეთის დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის აიტაკოლიტეიტის ხელმძღვანელის ამხ. გ. ჩინჩალაძის სუსტი მუშაობა და მიუთითა მუშაობის შემდგომი წარმართვის გზაზე.

25 ოქტომბრიდან ზესტაფონის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობდა ანგარიშგება და არჩევნები. გაზეთმა მიზნად დაისახა ფართოდ გაეშუქებინა ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა და დადებითი მაგალითების ჩვენებით და ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკით დაბმარებოდა პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის გაუმჯობესებაში. გაზეთის თითქმის ყველა ნომერში არის განყოფილება, მიძღვნილი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისადმი.

კლდეეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ 1948 წელს დაბალი მოსავალი მიიღო. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 840 ცენტნერისა, აქ 517 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, ვერც სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა შეასრულეს. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის საანგარიშოსაარჩევნო კრებაზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა. ზოგიერთმა კომუნისტმა კოლმეურნეობაში ვერ შეასრულა ავანგარდული როლი. კომუნისტმა ბრიგადირებმა ბ. ჯუმბაძემ და ნ. ქავთარაძემ ცუდად იმუშავეს. ამ საკითხზე გაზეთმა თავისი სტატია თქვა, გაამახვილა პარტორგანიზაციის ყურადღება მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გაზეთს არ ავიწყდება, რომ პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ყოველდღიურად ეხმარებოდეს კომკავშირს, ზრდიდეს მას ბოლშევიკურ ტრადიციებზე. გაზეთმა მოათავსა საქართველოს შამპანკომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მასალები და აღნიშნა, რომ ქარხანაში კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა, რომ საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციის მეტი დახმარება კომკავშირისადმი. პარტიული ორგანიზაცია, კონკრეტულად დაეხმარა კომკავშირს, რომელიც ახლა შედარებით უკეთ მუშაობს.

„ლენინელმა“ ანალიზი გაუკეთა რაიონის პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნების შედეგებს და საქმიანად გამოიხმაურა რაიონულ პარტიულ კონფერენციას. 11, 18 და 21 დეკემბერს გაზეთმა მეთაური წერილები და სპეციალური გვერდები მიუძღვნა რაიონულ კონფერენციას, გააშუქა, თუ რა მიღწევებით ხვდებოდნენ პარტიული ორგანიზაციები თავიანთ კონფერენციას.

საქმიანი გამოხმაურება პოვა გაზეთში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისათვის. მზადებამ. მან კარგად გააშუქა ყრილობისათვის მზადება, ხოლო ამჟამად ყურადღებას ამახვილებს ზესტაფონის რაიონის მშრომელთა მიერ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებზე.

საჭიროა გაზეთი „ლენინელი“ მიღწეულს არ დასჯერდეს, უფრო ღრმად ჩასწვდეს პარტიული ცხოვრების საკითხებს და მეტი დახმარება გაუწიოს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს მათს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო

მინდვრად ბალახთესვის ზოგიერთი საკითხი *

პარტია და მთავრობა დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ რაც შეიძლება მალე შემოიღონ მასობრივად ნათესბალახანი თესლბრუნვა. ველიან და ტყე-ველიან რაიონებში ამასთან ერთად უნდა გაშენდეს კარგი მინდორსაცავი ტყის ზოლები, რომლებიც ვ. რ. ვილიამსის მიერ შემუშავებული მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის აუცილებელ რგოლს წარმოადგენენ.

მინდვრის თესლბრუნვაში მრავალწლიანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების მხლოდ კარგად ნაზარი ნარევბალახეული წარმოადგენს ნიადაგის მალე აღდგენისა და სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესების მასობრივად ხელმისაწვდომ საშუალებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხოლოდ მრავალწლიან ბალახებს შეუძლიათ მალე აღადგინონ ნიადაგის ნაყოფიერების პირობები, იგი შედარებით გამოფიტული მდგომარეობიდან გადაიქცეონ სტრუქტურულ, წვრილკოშტოვან ნიადაგად, რომელსაც შეუძლია მოგვცეს უხვი მოსავალი, შეუძლია გადიდოს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება.

მაგრამ კარგად ნაზარი ბალახები მინდვრის თესლბრუნვაში სრულ ეფექტს იძლევიან, ნიადაგის ნაყოფიერების პირობებს აუმჯობესებენ მხოლოდ ნიადაგის სწორად დამუშავებასა, და განსაკუთრებით კორდამღებიანი გუთნით სწორი საშემოდგომო ხვნის დროს.

* ნათესბალახიანი თესლბრუნვის, ბალახთესვისა და მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის ათვისების საკითხებზე ასრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მოწვეულ თათბირზე 1949 წლის 9 თებერვალს წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა.

მრავალწლიანი ბალახების კორდი შემოდგომაზე უნდა მოიხნას. აგრონომიულად არასწორად და მეურნეობრივად საზარალოდ მოქმედებენ იმ რაიონებში, სადაც ბალახიან კორდებს გამოყოფენ საშემოდგომო კულტურებისათვის და არა საგაზაფხულო კულტურებისათვის. ამით ისპობა ნიადაგის ის კარგი თვისება, რაც მრავალწლიანი ბალახებით იყო შექმნილი.

მოსაზრებანი, რომლებითაც ჩვეულებრივად ხსნიან ბალახოვანი (სამყუროვანი ან ონონჯოვანი) კორდის გამოყოფას საშემოდგომო თესლისათვის, დამყარებულია იმაზე, რომ საშემოდგომო ხორბალი თუ საშემოდგომო ქვაეი ამათუიმ მინდორში უკეთეს მოსავალს იძლევა, ვიდრე საგაზაფხულო ხორბალი.

ასეთი დაპირისპირება ზერელე და არასწორია. კორდში ნათესი საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის მოსავალი შეიძლებოდა ერთმანეთისათვის დაგვეპირისპირებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ამ რაიონების კლიმატური პირობები რომ შესაძლებლობას გვაძლევდნენ საშემოდგომო ხორბალი ვოესოთ შემოდგომაზე მოხნულ კორდში. მაგრამ ყველამ იცის, რომ გვალვიან რაიონებში სეტემბერში მოხნულ კორდში საშემოდგომო ხორბლის ნათესი, როგორც წესი, არც კი ამოდის. ამიტომ საშემოდგომო ხორბლის დასათესად კორდს ხნავენ მაისს დამლეს, უკიდურეს შემთხვევაში 10-15 ივნისამდე, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბალახიანი მინდორი საანეულოდ იხვნება. ამ ანეულში ზაფხულის განმავლობაში იწვის, პირწმინდად იხარწნება სრულ მინერალიზაციამდე მთელი ფესვების ნაშთები, რომლებიც ნიადაგში მრავალწლიანმა ბალახებმა დაგროვეს.

მრავალწლიანი ბალახების ფესვები კი მოხვნის შემდეგ მინერალიზებულ მგონია, ადვილი დასაძლევია. საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ფართობი უნდა გადიდდეს უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში, აგრეთვე ჩვენი კავშირის ცენტრალურ შავნიადაგიან და ცენტრალურ ზონაში. თესლბრუნვაში საშემოდგომო ხორბლის განლაგების სიძნელეთა დაძლევის გზები შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს სხვადასხვა.

გავარჩიოთ საგაზაფხულო ხორბლისათვის ნათესი ბალახების კორდის ამ რაიონებში გამოყოფის მაგალითი, სადაც დღემდე ნათესი ბალახების მინდორს გამოყოფდნენ ხოლმე საშემოდგომო ხორბლის ან ქვაეის გვიანი ანეულისათვის. აგრონომიულად უკეთესი იქნება, თუ ბალახიან მინდორს შემოდგომაზე კარგად მოვხნავთ კორდამღებიანი გუთნით და გაზაფხულზე გამოვიყენებთ საგაზაფხულო ხორბლისათვის, ვიდრე ამავე მინდორს დავხნავდეთ არა შემოდგომაზე, არამედ შემდეგი წლის იანვლის დამდეგს საშემოდგომო კულტურებისათვის ანეულად. საშემოდგომო ხორბლის მინდვრების რაოდენობა ამ რაიონებში არსებულთან შედარებით შეიძლება, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში აუცილებლად საჭიროა არ შეცირდეს, მიუხედავად საგაზაფხულო ხორბლის ნათესთა გაფართოებისა. საგაზაფხულო ხორბლისათვის შემოდგომაზე კორდის მოხვნა თესლბრუნვაში ერთ მინდორს მატებს საგაზაფხულო თესვისათვის. მაშასადამე, ნაცვლად იმისა, რომ საშემოდგომო კულტურებისათვის გამოიყოს ბალახიანი მინდორი, შეიძლება საშემოდგომო ხორბლისათვის მთთესილ ანეულად გამოიყოს სხვა მინდორი და არა კორდი. ხოლო მრავალწლიანი ბალახების ერთი ნათიბის ამ შემთხვევაში ნაკლები მოსავლის ასანაზღაურებლად შეიძლება კარგი ბალახი მოვიყვანოთ მოთესილ ანეულში, რომელიც გამოყოფილია საშემოდგომო ხორბლისათვის.

მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად, უკრაინის სს რესპუბლიკის რაიონებში, მოთესილი ანეულებისათვის კარგი მცენარეებია ესპარცეტი და ორჯერ გასათიბი სამყურა. ამ შემთხვევებში ეს მცენარეები უნდა დაითესოს საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების საფარქვეშ, ხოლო მომავალ წელს ერთი მოთიბვის შემდეგ მოიხნას როგორც მოთესილი ანეული საშემოდგომო ხორბლისათვის.

ასეთ მოთესილ ანეულებს წარმატებით იყენებენ მეჭარხლეობის მთელ რიგ რაიონებში. ისინი, ჩემი თვალსაზრისით, მთლიანად ამართლებენ თავის თავს და ამიტომ უნდა გავაფართოოთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი, ესპარცეტითა და ორჯერ სათიბი სამყურათი, დაკავებული ანეულები არ წარმოადგენენ ისეთ მინდვრებს, წარლბიც აღადგენენ ნიადაგის ნაყოფიერების პირობებს, ე. ი. აღადგენენ ნიადაგის სტრუქტურულობას. ამიტომ აღნიშნულ, ესპარცეტით თუ სამყურათი დაკავებულ, ანეულებთან ერთად აუცილებლად უნდა იქნეს ბალახიანი მინდორიც, თუნდაც ერთწლიანი სარგებლობისა, რომელიც მზრალად მხოლოდ შემოდგომაზე მოიხნება.

კარგი ბალახიანი მინდორი, თუნდაც ერთწლიანი სარგებლობისა, კულტურულად მოხნული არა ზაფხულში, არამედ შემოდგომაზე, ნიადაგის ნაყოფიერების პირობებს აღმდგენელია. მრავალწლიანი ბალახების ფესვების ნაშთები შემოდგომით კარგი მოხვნისაა გახარწნის ისეთ პირობებში იქნება ჩაყენებული, რომლებშიც ისინი არ იწვებიან, არ მინერალიზდებიან, არამედ იქცევიან შპალად, რომელიც აწებებს და გარსეხვევა ნიადაგის კოშტოებს, რის გამოც იგი სტრუქტურული ხდება.

აი რატომ არის, რომ ვ. რ. ვილიამსი თავის ნაშრომებში გვირჩევს ბალახიანი კორდი გამოვყოთ საგაზაფხულო ხორბლისა და არა საშემოდგომო ხორბლისათვის. უმჯობესია თესლბრუნვაში ვიქონიოთ ერთწლიანი სარგებლობის მრავალწლიანი ბალახები, მაგრამ ისინი მოვხნათ შემოდგომაზე საგაზაფხულო ხორბლისათვის, ვიდრე ორწლიანი სარგებლობისა, და ისინი სარგებლობის მეორე წელს გამოვიყენოთ საშემოდგომო ხორბლის ანეულად.

როგორც ჩვენ მიერ გარჩეული მაგალითიდან ჩანს, საგაზაფხულო ხორბალი შეიძლება და კიდეც უნდა დაითესოს ნათესი ბალახების კორდში და არ შევამციროთ საშემოდგომო ხორბლის თესლბრუნვაში როგორც სუფთა, ისე მოთესილი ანეულის მინდვრების რიცხვი. მთელი თესლბრუნვის ეფექტიანობა ამ შემთხვევაში უფრო მეტად იქნება, ამასთან არ დაზარალდება რაიონში რომელიმე წამყვანი კულტურა, მაგალითად, ჭარხალი ან ხორბალი.

* * *

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. პ. პ. ლობანოვის მოხსენებასა და ამ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვებში მართებულად მიექცა მთავარი ყურადღება მრავალწლიანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების მეთესლეობის საკითხებს. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ძარცვლოვანი ბალახების თესლის მოყვანა ყველა რაიონში ადვილია და რომ ეს თესლი გვაკლია არა იმიტომ, რომ არ ვიცით მოყვანის წესები, არამედ სხვა მიზეზების გამო, რომელთა თავიდან აშორების გზები ნათელია.

უფრო ძნელია, ყოველ შემთხვევაში ზოგი რაიონისათვის, სამყურისა და ონონჯის თესლის მოყვანა. ჩვენი ქვეყანა ვრცელია, აქ უადრესად სხვადასხვა პირობებია, და ის მიზეზები, რომლებიც აძნელებენ სამყურისა და ონონჯის თესლის საამო რაოდენობით მოღებას, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია. რა თქმა უნდა, იყო და არის ბევრი რაიონისათვის საერთო მიზეზებიც, რომლებიც ამცირებენ სამყურისა და ონონჯის თესლის მოსავლიანობას.

ამ საერთო მიზეზებს, მაგალითად, ეკუთვნის ბოლო მოსავლის დროზე აღებულობა, გამოცეხვა და გამოფშვნა. ზოგან შემჩნეულია თესლის საცეხვი და საფშვნელი აპარატების ნაკლებობა, გვაკლია ბალახთა თესლის სპეციალური საფშვნელი მანქანები. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ყოველივე ეს თავიდან იქნება აშორებული. პარტია და მთავრობა სოფლის მეურნეობას სულ უფრო მზარდი რაოდენობით ამარაგებენ სხვადასხვა მანქანებით.

ამ თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს მოწონიანე კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, აკრონომებმა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ თვითეულმა მათგანმა თავის რაიონში მიი-

ალიო მირცხულავა

ნ ა ტ ვ რ ა

იყო წარსული, იყო წამება,
ირგვლივ ყორნებით შემოლამება,
ზეცას ფარავდა ბნელი ზეწარი,—
დროშის ნათელით ცისკარს
ვხვდებოდით,
და მზის ამოსვლას ველოდებოდით,
ამ გათენებას მეც მოვესწარი!

იყო ცხოვრება ხალისიანი,
დაგვშრიალებდა ბაღი მზიანი
უხვი ნაყოფით, სავსე ღეროთი, —
ხმა-შეწყობილად ჟღერდნენ სიმებიც,
ჟღერდნენ სხივების აციმციმებით,
ამ ტკბილ ცხოვრებას მეც ვუმღეროდი!

მაგრამ, ყორნების შავმა დინებამ
ჩვენი სიცოცხლის შთანთქმა ინება,
ისევ დროშების ფრთები შევსძარით,—
სულთმობრძავი და სასომიხდილი
თავის ბუნაგში ვძლიეთ სიკვდილი,
ამ გამარჯვებას მეც მოვესწარი!

მუშამ იშრომა ერთი-ორადა,
გლეხმა ხორბალი დასდგა გორადა,
ბაღში ნაყოფმა თავი დახარა,—
ცაში ფრთოსნებმა იწყეს გალობა,
ტკბილად სტვენა და მუსიკალობა,
ამ სიხარულმა მეც გამახარა!

მეც გამახარა დღეთა ბრწყინებამ,
ჩემი სამშობლოს აღორძინებამ,
ქარში დროშების აქოჩრილობამ, —
მთაში თუ ბარში, სოფლად, ქალაქად,
უხვად დავროვდა შრომის ბარაქა,
მეც მოვირჩინე ომის ჭრილობა!

ისევ გამოჩნდნენ, სისხლი სწყურიათ,
თავზე ჯავშანი დაუხურიათ,
ომს აჩაღებენ დაგეშილები,
და ბანჯგვლიანი დათვის ტოტებით,
ზღვასთან მომდგარნი გაბოროტებით
გვიღრენენ კბილებდალესილები.

არ ისვენებენ, არ უწყით განა,
რომ თვით საკუთარ ვულკანზე დგანან,
ცეცხლის ბუდეა ზღვაც და
ხმელეთიც,—
რომ დაუნდობლად ებრძვის ბუნებაც
უსამართლობის შემობრუნებას,
განწირულია მზის წინ ბნელეთი!

და ჩემი ნატვრა ახლაც ის არი,
მიზანს მიჰრიდეს თვალთა ისარი,
რაგინდ მძვინვარე სუსხმა
დაჰბეროს,—
ისევ შემძლოს ლახვრის აღება,
მათი ჩაქოლვა და ჩამაღლება,
ცხოვრებამ ისე ნუ დამაბეროს!

მოვესწრო ხალხთა მუდმივ მშვიდობას,
კაცთა სიყვარულს და სულდიდობას
ირგვლივ დროშების შუქმა
დაჰბეროს,
ვეტრფოდე მზიურ ქვეყნიერებას,
შვილიშვილების ბედნიერებას,
ცხოვრებამ ისე ნუ დამაბეროს!

ბავშვების საყვარელი მუსიკოსი

(კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილის მოღვაწეობის 25 წლის გამო)

ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილს მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა.

თამარ შავერზაშვილი დაიბადა 1891 წელს ქალაქ ქუთაისში. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ მუსიკალური აღზრდის ტრადიციები ოჯახშივე მიიღო. შემდეგ იგი მუსიკას სწავლობდა ქუთაისის ქალთა ყოფილ წმიდა ნინოს სასწავლებელში.

15 წლის თ. შავერზაშვილი უკვე მუსიკის კარგ მცოდნედ ითვლებოდა, წარმატებით გამოდიოდა საჯარო კონცერტებზე და თავისუფლად ასრულებდა რუსეთისა და უცხოეთის კლასიკურ მუსიკალურ საფორტეპიანო ნაწარმოებებს. ამ პერიოდში თ. შავერზაშვილმა პირველად სცადა თავისი საკომპოზიტორო უნარი და ფორტეპიანოსათვის დაწერა ზღაპარი-ფანტაზია.

1910 წელს თ. შავერზაშვილი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში შედის საფორტეპიანო ფაკულტეტზე. აქ საფუძვლიანი მუსიკალური განათლების მიღებამ მას შესაძლებლობა მისცა შემდგომ წლებში წარმატებით დაემთავრებინა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1938 წელს თ. შავერზაშვილმა დაამთავრა კონსერვატორიის ასპირანტურა და ასისტენტად დაიწყო მუშაობა პოლიფონიის დარგში. ამჟამად იგი კონსერვატორიის დოცენტია.

ახალგაზრდობიდანვე ჩაება თ. შავერზაშვილი შემოქმედებით მუშაობაში. პირველად იგი წერდა პატარა პიესებს, პრელუდიებს, ნოქტიურნებს. მისი პირველი სერიოზული მუსიკალური რომანსი „ლერწამი ხარ" 1920 წელს წარმატებით შეასრულა ჩვენმა უბადლო მომღერალმა ვ. სარაჯიშვილმა ი. გრიშაშვილის ლიტერატურულ საღამოზე. რომანსი გულთბილად მიიღო დამსწრე საზოგადოებამ.

ბავშვთათვის მუსიკალურ ნაწარმოებთა წერა თ. შავერზაშვილმა 1923 წლიდან დაიწყო. პირველი მისი საბავშვო მხატვრული სიმღერა იყო „მინდორში", გ. ქუჩიშვილის სიტყვებზე დაწერილი. მას შემდეგ იგი დაუღალავად ემსახურება საბავშვო მუსიკის შექმნის საქმეს. მან შექმნა მელოდიური, სადა, ხალისიანი, ხალხურ რიტმზე აგებული, ადვილად ასათვისებელი სიმღერები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩვენს სკოლებში.

დღემდე კომპოზიტორ თ. შავერზაშვილს დაწერილი აქვს 70-ზე მეტი საბავშვო სიმღერა და პიესა ფორტეპიანოსათვის, ვიოლინოსათვის, ჩელოსათვის და სხვ. მანვე შექმნა „საბავშვო ალბომი", რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მუსიკალურ სკოლებში.

თ. შავერზაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ოთხმოქმედებიან საბავშვო პატრიოტულ ოპერას „იავნანას", რომლის დადგმა მალე განხორციელდება. ეს ნაწარმოები წარმოადგენს კომპოზიტორის მთელი შემოქმედების ერთგვარ შეჯამებას. ოპერა დაწერილია იშვიათი გულწრფელობით. იგი მსმენელს ხიბლავს ჰარმონიულობით, მელოდიურობით, ლირიზმით.

თ. შავერზაშვილის მუსიკალური კომპოზიციის უდიდეს ღირსებას შეადგენს მუსიკალური სურათების სისადავე, სინაზე, სახეების მრავალფეროვნება. ამიტომ შეიყვარეს იგი ჩვენმა ბავშვებმა. ამიტომ დიდ პატივს სცემს მას მთელი ქართველი საზოგადოებრიობა.

ან. ღვინიაშვილი

ცხვრის პროდუქტიულობის გადიდების ახალი წესი

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობები წელს საზამთრო საძოვრებზე მასობრივად ახორციელებენ ბატკნის გამოზრდისა და ცხვრის წველადობის გადიდების ახალ წესს. ამ წესის გამოყენებით რაიონი დიდ წარმატებას აღწევს. კოლმეურნეობები ვადამდე ასრულებენ რძის, ხორცის, ტყავის ჩაბარების გეგმებს.

რა არის ცხვრის პროდუქტიულობის გადიდების ეს ახალი წესი? — ის, რომ ცხვარს წველის დროს ცურში ბატკნისათვის იმდენ რძეს უტოვებენ, რამდენიც საკმარისია მისი ნორმალური ზრდისათვის, დანარჩენს კი წველიან. ამ წესით გამოზრდის დროს ნამატი უფრო ადრე ეჩვევა ბალახით კვებას, თან უფრო მკვირცხლი და ღონიერი გამოდის, ადვილად იტანს მგზავრობას და სხვ. ამასთანავე ცხვრის ზამთრის საძოვრებზევე წველის დაწყებით კოლმეურნეობები დამატებით ტონობით რძეს იძენენ.

გამოცდილება მოწმობს, რომ ცხვრის კარგი მოვლით და წველის ადრეულად, ზამთარშივე მოწყობით თვითეულ ცხვარზე სეზონში შეიძლება 21-22 ლიტრი რძის მიღება, ნაცვლად 11 ლიტრისა. რასაც ჩვეულებრივად იღებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი წესით, ანუ ნებაზე მიშვებით, ბატკანი ხშირად იმდენ რძეს გამოსწოვდა, რომ სარგებლობის ნაცვლად ზარალი მეტი იყო: ნამატი დუნდებოდა, ზოგჯერ სიარულიც უჭირდა, ამის გამო ცივ მინდორზე წოლით ავადდებოდა.

მარტო ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ამხ. ივანე ქილიკაშვილი, ჯერ კიდევ შარშან ცხვრის საზამთრო საძოვრებზე წველის მოწყობით ათ ტონამდე რძე მიიღო, წელს კი თითქმის ორჯერ მეტს იღებს. ასევე კარგად მოაწყვეს წელს ცხვრის საზამთრო საძოვრებზე წველა სოფელ ცდოს კალინინის სახელობის და ყაზბეგის რაიონის მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

მოწინავეთა კარგი მუშაობის შედეგად შარშან რაიონმა სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. ახლა კოლმეურნეობები პირობას იძლევიან ცხვრის პროდუქტიულობის გადიდების ახალი წესის გამოყენებით რძის ჩაბარების წლიური დავალება ვადამდე, ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ყოფნის პერიოდშივე, დიდი გადაჭარბებით შეასრულონ. ამ მიზნით კოლმეურნეობებმა საზამთრო საძოვრებზე წინასწარ მოიმარაგეს საჭირო ინვენტარი, გამოყვეს და მწყემსებს გააყოლეს გამოცდილი მწველავები. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ყაზბეგელი კოლმეურნეები წელს ახალ წარმატებას მოიპოვებენ.

ტ. თოდრაძე

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი სასოფლო საბჭოს სესიაზე

მშრომელთა დეპუტატების ფლევის სასოფლო საბჭოს (ხაშურის რაიონი) სესიაზე განხილულ იქნა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი. სესიამ მოისმინა სოფელ დიდი და პატარა ფლევის, ტკოცისა და პირველი ნაცარგორის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მოხსენებანი. თანამოხსენებით გამოვიდა სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი მ. ხარაზიშვილი.

სესიაზე აღინიშნა, რომ ტკოცის კოლმეურნეობაში აკლიათ კარტოფილისა და ნაწილობრივ ბოსტნეული კულტურების თესლი. სოფელ პირველი ნაცარგორის კოლმეურნეობას მომზადებული არა აქვს 2,5 ჰექტარი სავენახე პლანტაჟი; პატარა ფლევის, პირველი და მეორე ნაცარგორის და ტკოცის კოლმეურნეობებს არ გაუტანიათ მინერალური სასუქი სოფლმომარაგების ხაშურის განყოფილებიდან. ნელი ტემპით მიმდინარეობს ორგანული სასუქის შეგროვება და მინდვრად გატანაც. ნაკლები ყურადღება ექცევა აგროტექმინიმუმის შესწავლას.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა მ. ლომიძემ, ა. ციცქიშვილმა, ნ. ხაჩიძემ და მ. შუბითიძემ.

სესიამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი, რის საფუძველზეც ფლევის საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში შეკეთდა 16 გუთანი, 15 ურემი, 7 ზიგზაგი და სხვა. გაიწმინდა და კონდიციამდე აყვანილ იქნა სათესლე მასალა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ორგანული სასუქის შეგროვება და გატანა. შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეული კულტურებისათვის განკუთვნილ ნაკვეთებში. გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილია მუშა პირუტყვი.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით ფლევის სასოფლო საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ალის სასოფლო საბჭო.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ლანჩხუთის რაიონში

მშრომელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების მიზნით რაიონში მუშაობას ეწევა 18 სასოფლო კლუბი, 1 რაიონული სახელმწიფო თეატრი და 1 რაიონული კინოთეატრი. გარდა ამისა, ყველა კოლმეურნეობაში მოწყობილია სამკითხველოები სათანადო ლიტერატურით.

* * *

დამთავრდა რაიონის ცენტრში მარქსის, ლენინის, სტალინის და ბერიას ქუჩების მოასფალტება. მათგან მარტო მარქსის ქუჩაზე 4.200 კვადრატული მეტრი ასფალტი დააგეს.

* * *

ამჟამად რაიონში 2.847 ჰექტარი ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაციაა. გარდა ამისა, შარშან გააშენეს 14 ჰექტარი. ყოველდღიურად იზრდება ჩაის მოსავლიანობა. 1945 წელს ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღეს 326 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1946 წელს — 455, 1947 წელს — 686, 1948 წელს კი — 1.029 კილოგრამი ფოთოლი. (**საკ. კორ.**).

სანიმუშო სისუფთავის დამყარებისათვის

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თათბირი მოაწყო დედაქალაქში სანიტარული მდგომარეობის საკითხზე. თათბირს ესწრებოდნენ მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები, სახლმმართველები და სხვ.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილე და ქალაქის სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის უფროსი ამხ. ვ. ზაქარიაძე.

უკანასკნელ პერიოდში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, მაგრამ იგი დამაკმაყოფილებლად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ დღეებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გამოყოფილმა ბრიგადებმა შეამოწმეს სანიტარული მდგომარეობა. გამოირკვა, რომ დასუფთავებისა და ნაგვის დროულად გატანის საქმე არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. ცუდად სუფთავდება ბრძოლის, ქუთაისის, კამოს, ვახუშტის, ხეთაგუროვის, ჩუღურეთის, გრიბოედოვის, ენგელსის, ჯავახიშვილის ქუჩები და სხვ.

დიდუბის ხევი (სტალინის რაიონი) ნაგვითა და სიბინძურით არის სავსე და ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენს.

ნავთლუღის ქუჩა № 24 სახლის ეზოში (26 კომისრის რაიონი) კანალიზაცია დაზიანებულია, საპირფარეშოს არა აქვს კარი, იქვე ამოთხრილ ორმოებში ყრიან ნაგავს და სხვ. აღნიშნული სახლისათვის პასუხისმგებელი პირები გულდამშვიდებით შესცქერიან ამ ამბავს. ანტისანიტარული მდგომარეობაა მტკვრის სანაპიროზე ბარათაშვილის ხიდიდან მეტეხის ხიდამდე (კიროვის რაიონი).

ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქში არსებული საპირფარეშოების დასუფთავების საქმეს. იქ არ არის საკმარისი ელექტროგანათება, წყალი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო საბჭოს სესიის გადაწყვეტილება 10 ახალი საპირფარეშოს აგების შესახებ დღემდე შეუსრულებელია.

ქალაქში სისუფთავის დაცვის საქმეში ერთ-ერთ მთავარ როლს მეეზოვე ასრულებს. მაგრამ მეეზოვეთა კადრებისათვის ადგილობრივი ორგანოები რატომღაც ნაკლებად ზრუნავენ, რის შედეგად 973 საშტატო ადგილზე მხოლოდ 775 კაცი მუშაობს. მეეზოვეები მომარაგებული არ არიან სათანადო სპეცტანსაცმლით, ინვენტარითა და სხვ. ლენინის ქუჩა № 28 სახლის მეეზოვემ მ. ავეტიკოვმა განაცხადა, რომ ექვსი თვის მანძილზე მას სახლმმართველ მაისურაძისაგან ერთი ცოცხიც არ მიუღია.

მეეზოვეთა მიმართ კონტროლი არადამაკმაყოფილებელია. სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა და მილიციის ორგანოების წარმომადგენლები ხშირად მარტო მეთვალყურის როლს ასრულებენ, აქტების შედგენით კმაყოფილდებიან, არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს.

უსუფთაობას აგრეთვე ხელს უწყობს იმ ორგანიზაციების უსისტემო მუშაობა, რომლებიც ქალაქში მიწის სამუშაოებს ასრულებენ. მაგალითად, ქალაქის ავტომატურმა სატელეფონო სადგურმა ორი თვის წინ დაამთავრა სამუშაო მარჯანიშვილისა და კამოს ქუჩის რაიონში, ნაყარი მიწა და ნაგავი კი დღემდე ქუჩაში ყრია. ასევე იქცევიან ხშირად თბილმშენი, კანალტრესტი და სხვა ორგანიზაციები.

რაიონის დასუფთავების კანტორები, სახლმმართველები სუსტად იბრძვიან სისუფთავისათვის. მათ ავიწყდებათ, რომ დასუფთავება და ქალაქიდან დაგროვილი ნაგვის დაუყოვნებლივ გატანა დიდი მნიშვნელობის საქმეა.

რაიონულმა ჯანმრთელობის განყოფილებებმა მოსახლეობაში უნდა გააძლიერონ სანიტარული პროპაგანდა, ხშირად ჩაატარონ საუბრები, მოხსენებები და ლექციები.

რაიონული საბჭოს აღმასკომები ვალდებულნი არიან მიიღონ გადამჭრელი ზომები დედაქალაქში სანიმუშო სისუფთავის დამყარებისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თ. ქუთათელაძემ, 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პანიევმა, ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გაბეჩავამ და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა.

ჩვენ გვწერენ

დავიწყოთ ლეჩხუმის ფიქალის დამუშავება

ცაგერიდან ლენტეხისაკენ მიმავალი მგზავრი უთუოდ შეამჩნევს საავტომობილო გზის გაყოლებით შესანიშნავი ფიქალის კლდეებს. ეს ფიქალი შესაძლებელია გამოვიყენოთ შენობათა სახურავად და მით წარმატებით შევცვალოთ ბევრად უფრო ძვირი და დეფიციტური, ხოლო ამასთან ნაკლებად გამძლე კრამიტი. ფიქალის ასეთი კლდეები აქ მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზეა, მარაგი ძლიერ დიდია.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ ფიქალს მასობრივად იყენებს. შენობები უმთავრესად გადახურულია ფიქლის ფილებით. აქაური ფიქალი ისეთი თვისებისაა, რომ მისგან შეიძლება დიდი ზომის ფილების მიღება.

ლეჩხუმის ფიქალი ძვირფასი სახურავი მასალაა. ამ ფიქალის დამუშავების დაჩქარებით შესაძლებელი იქნება მშენებელთა უხვად მომარაგება მტკიცე, მაგარი, გამძლე და იაფი პირველი მოთხოვნილების საშენი მასალით.

ს. გაგოშიძე

ყვანა კარგი მოსავალი: 3-4 ცენტნერი, ზოგან კი 5-6 ცენტნერი იონჯა ან სამყურა ჰექტარზე. ეს მცირე მოსავალი როდია. ღირებულებით ეს მოსავალი მარცვლეულის ათჯერად მოსავალს უდრის. სრული დარწმუნებული ვართ, რომ 1949 წელს გაცილებით მეტი გვეყოლება მოწინავენი, რომლებიც დიდ მოსავალს მოიყვანენ, უპატაკებენ, რომ ჰექტარზე მოიყვანეს 5-8, შესაძლოა კი, ათ-ათი ცენტნერი იონჯისა და სამყურის თესლი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხალხმა გაიგო ბალახთა თესლის მნიშვნელობა. მართებულ, კარგ მინდვრად ბალახთესვაზე დამოკიდებულია საკოლმეურნეო შრომის პროდუქტიულობის გადიდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, დამოკიდებულია ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდება, დამოკიდებულია აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

აგრონომები და მეცნიერი მუშაკები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა რაიონში მრავალწლიანი ბალახების თესლის მოყვანის საქმეში, რათა თვითეულ მეურნეობას ჰქონდეს თავისი თესლი. არ შეიძლება მივაფუჩეჩოთ, ანგარიში არ გავუწიოთ ამა თუ იმ სიძნელეს, რაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონს ნამდვილად აქვს იონჯის ან სამყურის თესლის მოყვანის საქმეში. არის შემთხვევა, როცა, მაგალითად, იონჯის მინდვრის ბალახნარი კარგია, ხოლო წლითიწლობით არ იძლევა თესლს.

ავიღოთ თუნდაც მოსკოვის ოლქი. ეს სამყურის თესვის ოლქია. იონჯა აქ მცირედაა გავრცელებული. მაგრამ მოსკოვის ოლქის არამჟავე ნიადაგზე იონჯას ნათიბის რაოდენობით და ფესვების განვითარებით ხშირად შეუძლია არა მარტო არ ჩამოუვარდეს სამყურას, არამედ გადააჭარბოს კიდევაც.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტში (მოსკოვის მახლობლად) საკმაოდ ცუდ ნაყოფიერ მინდორში, სადაც ქერის მოსავალი ჰექტარზე არ აღემატებოდა 10-15 ცენტნერს, ქერთან საფარქვეშ დათესილ იქნა იონჯა—3-4 ჰექტარი. ეს იონჯა ორჯერადი ფიბვით 4 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იძლეოდა სასუქის შეუტანლად 80-90 ცენტნერ მშვენიერ თივას ჰექტარზე, მაგრამ არც ერთ წელს არ მიუღიათ თესლი იონჯის ამ მინდვრის სათესლედ დატოვებულ მცირე ნაკვეთებში, თუმცა არავითარი მავნებელი ან დაავადება არ ყოფილა.

იონჯის ხშირი ბალახნარი ისეთ პირობებში, როგორიც არის, მაგალითად, მოსკოვის ოლქისა, არ იძლევა თესლს. რაღაც მიზეზები აბრკოლებენ თესლის გამონასკვას. იონჯის ფართო ზოლიანი ნათესი ან მეჩხერი ნათესი, რომელშიც იონჯა შერეულია მარცვლოვან მცენარეებთან, გაცილებით მეტ თესლს იძლევა.

უკრაინის ველიან რაიონებში, არახელსაყრელი გვალვიანი პირობების მიუხედავად, მშვენივრად იძლევა თესლს იონჯის ზაფხულის მთლიანი, ხშირი, სუფთა ნათესი. ვოლგისპირეთის რაიონებში, რამდენადაც ვიცი სამხრეთ-აღმოსავლეთის მარცვლეული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ამხ. ფ. ი. ფილატოვის ცნობებით, იონჯა ნარევბალახეულში უკეთეს მოსავალს იძლევა, ვიდრე სუფთა ნათესში. საერთოდ სხვადასხვა რაიონში იონჯის, აგრეთვე სამყურის თესლის ცუდი მოსავლის მიზეზები სხვადასხვაა. საჭიროა ეს მიზეზები გამოვარკვიოთ და ამავე დროს გამოვნახოთ მათი დაძლევის გზები. ყოველმა რაიონმა უნდა მიიღოს იონჯისა და სამყურის თესლი. ბევრ რაიონში ეს გზები უკვე გამონახეს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკის მოწინავეებმა, აგრონომებმა და მეცნიერმა მუშაკებმა.

* * *

რამდენიმე სიტყვა სათესლე სამყურის წათიბვის შესახებ. ამ საკითხის განხილვა უკვე მრავალი წელია წარმოებს აგრონომებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის. ზოგი იცავს სამყურის წათიბვის წესს, ამტკიცებს, რომ ეს მნიშვნელოვნად ადიდებს თესლის მოსავალს, ზოგს კი მოყავს ფაქტები, რომ წათიბვა ამცირებს სამყურის თესლის მოსავალს.

მეც ცოტა მიმუშავნია სათესლე სამყურის წათიბვის საკითხებზე, და იმ დასკვნამდე მივედი, რომ წათიბვა ერთსათიბი სათესლე სამყურის განვითარების რეგულირების კარგი საშუალებაა. მაგრამ ერთსათიბი სამყურის წათიბვამდე საჭიროა იმაში გარკვევა, თუ რა არის ამ ღონისძიების დედაარსი და რატომ უნდა გამოვიყენოთ იგი.

წათიბვით შეიძლება სამყურის ყვავილობის დროის, დამტვერვის დროის რეგულირება, სამყურის ყვავილობის ჩაყენება კვირტის გამოღებისა და მარცვლის დაპურების საუკეთესო პირობებში. ამავე დროს ხომ ცნობილია, თუ რა შედეგების მოცემა შეუძლია ყოველი კულტურული მცენარის ვეგეტაციური პერიოდის რეგულირებას. ეს კვების პირობების, ერთი სიტყვით, მცენარის სიცოცხლის პირობების რეგულირების ანალოგიურია.

რა არის ხოლმე ერთსათიბი სათესლე სამყურის წათიბვის წარუმატებლობის მიზეზი? ჩვეულებრივ ამას იმით ხსნიან, რომ წათიბული სამყურა ვერ ასწრებს დამწიფებას შემოდგომამდე. საქმე ის კი არ არის, რომ წათიბულმა სამყურამ ვერ მოასწრო დამწიფება შემოდგომამდე, არამედ ის, რომ არასწორად წათიბულ ერთსათიბ სამყურას წამოზრდის შემდეგ არ შეეძლო გამოეღო თესლი, თუნდაც ზაფხულის თბილი დრო ჩვეულებრივზე მეტ ხანსაც გაგრძელებულიყო.

უნდა ვიცოდეთ, რომ ნამდვილი ერთსათიბი სამყურის მცენარე **ტიპური საშემოდგომო მცენარეა.** თესლის გამომღები ყლორტები მცენარეებს უჩნდებათ მხოლოდ გაადრეულებული ქსოვილიდან, საშემოდგომო მცენარეთა გაადრეულებისათვის კი საჭიროა დაბალი ტემპერატურული პირობების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, ე. ი. საჭიროა შემოდგომისა და ზამთრის პირობები.

ამიტომ, თუ საშემოდგომო მცენარეების, ამ შემთხვევაში ერთსათიბი სამყურის, წათიბვით იწვევენ ღეროების არა ზედა და არც შუა ფოთლების იღლიის კვირტების ზრდას, არამედ იწვევენ ფესვის ყელის მხოლოდ მძინარე ქვედა, სათადარიგო კვირტების განვითარებას, რომლებიც არაგაადრეულებული ქსოვილისაგან შედგება, იღებენ დამოკლებულ ყლორტებს, როზეტებს. უკანასკნელები ვერ გამოიღებენ თესლის მომცემ ყლორტებს, სანამ არ გაივლიან გაადრეულებას, ხოლო შემდეგ განვითარების ეგრეთწოდებულ შუქოვან სტადიას. გაადრეულების გასავლელად კი ზაფხულში არ არის დაბალი ტემპერატურული პირობების ხანგრძლივი პერიოდი. ამიტომ არასწორი წათიბვის დროს ერთსათიბი სამყურა იძლევა მხოლოდ ერთ როზეტს, რომელზეც არ არის თესლის მომცემი ღეროები. ერთსათიბ სამყურას სწორედ იმიტომ ეწოდება ერთსათიბი, რომ მისი მცენარე გამოზამთრების შემდეგ იძლევა თესლის მომცემ ღეროებს, ხოლო ახალი ყლორტები, რომლებიც ზაფხულში ფესვის ყელიდან, მძინარე არაგაადრეულებული კვირტებიდან ამოდიან, შემდგომ გამოზამთრებამდე ვერ მოგვცემენ თესლის მომცემ ღეროებს.

ერთსათიბი სამყურის წათიბვისას საჭიროა უმთავრესად იმას ვადევნოთ თვალყური, რომ დავტოვოთ, არ მოვჭრათ მცენარეთა ღეროების ის ნაწილები, რომელთა ფოთლების იღლიებიდან შეიძლება ყველაზე სწრაფად განვითარდნენ ახალი კოკრები, საყვავილე თავაკები.

ერთსათიბი სათესლე სამყურის წათიბვა არ შეიძლება გათიბვად გადავაქციოთ. წათიბვა კარგ შედეგებს იმ შემთხვევებში მოგვცემს, როცა, მაგალითად, ხანგრძლივად დგას სამყურის ყვავილობისათვის არახელსაყრელი მოღრუბლული, წვიმიანი ამინდი, ხოლო სამყურის მცენარეთა მდგომარეობა ისეთია, რომ 5-7 დღის შემდეგ დაიწყება მათი მასობრივი აყვავება.

სამყურა თითქმის უკვე მზად არის მასობრივი აყვავებისათვის, მაგრამ სამყურის დამმტვერველი მწერები ჯერ კიდევ ცოტა არიან მინდვრებში, მათი გამოჩენა შეაფერხა წვიმიანი ან ცივი ამინდის გამო. ასეთ შემთხვევებში მეტად სასურველია სამყურის მინდვრის აყვავების შეჩერება ცოტა ხნით მაინც. ამ შემთხვევებში სამყურის წათიბვა, ღეროების მხოლოდ ზედა ნაწილის წაჭრა შესაძლებელს გახდის ღეროების ზედა ფოთლების იღლიებიდან ახალი საყვავილე თავაკების განვითარებას. იღლიის (გვერდის) ეს საყვავილე თავაკები უფრო ნაკლები ზომისა იქნება, ვიდრე ღეროზე წაჭრილი ცენტრალური თავაკი, სამაგიეროდ ისინი ერთის ნაცვლად ორი-სამი იქნებიან ღეროზე. გარდა ამისა, 5-7 დღით შეჩერებული აყვავება ამინდის უკეთეს პირობებშია ჩაყენებული და ამიტომ იღლიის თავაკებში გაცილებით მეტი თესლი იქნება, ვიდრე ერთ ცენტრალურ თავაკში, წათიბვა რომ არ მომხდარიყო.

წათიბვისას ყველა შემთხვევაში თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ დარჩენილ ღეროებზე იყოს კვირტები, რომლებსაც უნარი ექნებათ სწრაფად განვითარდნენ და არ გამოიწვიონ სამყურის ზრდა ფესვთანური ყელის ქვედა კვირტებიდან. უკანასკნელ შემთხვევაში წათიბვა მხოლოდ ზიანს მოიტანს, რადგან ასეთ წათიბულ სამყურას არ ექნება საყვავილე ღეროები და, მაშასადამე, ვერც თესლს მივიღებთ.

სწორი წათიბვის დროს კი, იმ შემთხვევებში, როცა არახელსაყრელი ამინდის პირობებში ან, მაგალითად, დამმტვერველი მწერების გამოჩენის დაგვიანებისას, საჭიროა მასობრივი აყვავების შეჩერება 5-7 დღით, შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ სათესლე სამყურის მოსავლიანობა: ჰექტარზე სამყურის ერთი ცენტნერი თესლის ნაცვლად შეიძლება მივიღოთ 2-3 ცენტნერი და მეტი.

მოვიყვან ერთ საინტერესო შემთხვევას, როცა ერთსათიბი კარგი სამყურა საფარი ნათესის გარეშე აკადემიის „გორკი ლენინსკიეს" საექსპერიმენტო ბაზაში დაახლოებით 3 ჰექტარ ფართობზე მხოლოდ მესამე გამოზამთრების შემდეგ აყვავდა. პირველი და მეორე გამოზამთრების შემდეგ კი სამყურა არ ყვავილობდა, არამედ ივითარებდა მხოლოდ ფოთლებს, რომლებიც ფესვთანურ დიდ როზეტებში იყო თავმოყრილი.

ეს სამყურა 1942 წლის შემოდგომაზე დაითესა დამუშავებულ ნიადაგში საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ. ზამთრის დადგომამდე სამყურა ამოვიდა, მაგრამ ვერ მოასწრო როზეტების განვითარება, ვერ განავითარა ფესვთანური გამსხვილება—ყელი,

ალმონაცენმა კარგად გამოიზამთრა, მაგრამ 1943 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ მინდორზე მცენარეებს არ დაუწყიათ აყვავება, ავითარებდნენ მხოლოდ ფოთლების როზეტებს მსხვილი ფესვთანური ყელის გარშემო.

მაშასადამე, ერთსათიბი სამყურა, რომელმაც შემოდგომიდან მოგვცა აღმონაცენი, მაგრამ ვერ მოასწრო მცენარეთა ფესვთანური გამსხვილების (ყელის) განვითარება, გამოზამთრების შემდეგ არ ყვავილობს. გაზაფხულზე ასეთ სამყურას კვირტები უჩნდება ღეროს არაგაადრეულებული ქსოვილიდან.

სამყურის ნათესი, რომელსაც 1943 წელს ყვავილი არ გამოუღია ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, 1944 წელს კარგად უნდა აყვავებულიყო, მაგრამ სამყურა ცუდად იყო წათიბული: ღეროები ძლიერ დაბლა ჰქონდა წაჭრილი. გარდა ამისა, სამყურა ხშირად იყო დათესილი, ამიტომ ღეროების ქვემო ნაწილი დაჩრდილული იყო და წათიბვის შემდეგ ღეროების დარჩენილი ნაწილი გახმა. მცენარეებმა ახალი ყლორტები გამოიღეს ფესვთანური ყელის მძინარე სათადარიგო კვირტებიდან, რომლებიც ზაფხულობით მუდამ არაგაადრეულებულები არიან ხოლმე. ამიტომ ამ მინდორზე სამყურა მთელი ზაფხულის განმავლობაში კვლავ არ აყვავებულა.

ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ სამყურის მცენარეებს, რომლებიც ასაყვავებლად მზად არიან, ცუდი წათიბვით შეიძლება დავუკარგოთ მიმდინარე წელს ყვავილის გამოღების უნარი და, მაშასადამე, თესლის მოცემის უნარიც.

ყოველივე ეს ეხება მხოლოდ ერთსათიბ, ე. ი. ნამდვილ საშემოდგომო სამყურას.

სულ სხვა საქმეა ორსათიბი, ე. ი. გაზაფხულის სამყურა. ორსათიბი სამყურის თესლი შეიძლება მივიღოთ, როგორც პირველი, ისე მეორე გათიბვით. ორსათიბი სათესლე სამყურა შეიძლება აგრეთვე კი არ გაითიბოს, არამედ მხოლოდ წაითიბოს, თუ ეს საჭიროა ამინდის ან სხვა რაიმე პირობების გამო.

(დასასრული იქნება)

„ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“

კამათი საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 25 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის განცხადებამ, რომელიც მან 22 თებერვალს გააკეთა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ღვარძლიანი გამოხმაურება გამოიწვია მემარჯვენე რეაქციული წრეების მხრივ, აგრეთვე საპარლამენტო უმრავლესობის პარტიების მხრივ, რომლებიც მხარს უჭერენ საფრანგეთის მთავრობის ახლანდელ პოლიტიკას.

როგორც ცნობილია, ტორეზმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა ფრანგი ხალხის სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც გამოდიოდა და გამოდის მშვიდობის დასაცავად.

ეროვნული კრების დეპუტატმა შერერმა („სახალხო რესპუბლიკური მოძრაობა“) შეკითხვა შეიტანა ტორეზის აღნიშნული განცხადების გამო. 24 თებერვალს ეს შეკითხვა განხილულ იქნა ეროვნული კრების სხდომაზე, რომელიც გვიან ღამით დამთავრდა. შერერმა მოითხოვა, რომ ტორეზმა განმარტოს: „მიაჩნია თუ არა მას, რომ საფრანგეთის ინტერესები ემთხვევა უცხოეთის სახელმწიფოს ინტერესებს?“

უკიდურესი მემარჯვენე პარტიის „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის“ დეპუტატმა პიერ ანდრემ მოითხოვა, რომ მთავრობამ „კანონგარეშე გამოაცხადოს საფრანგეთის კომუნისტური პარტია“.

მათ ხმა შეუერთა მემარჯვენე სოციალისტმა გი მოლემ (სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი), რომელიც ამტკიცებდა თითქოს „სიტყვები ომის საფრთხისა და ომისათვის მზადების შესახებ წარმოადგენენ მხოლოდ კომუნისტების საარჩევნო მანევრს“.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კეი შეეცადა შეესუსტებინა ომისათვის მზადების მნიშვნელობა, რასაც დასავლეთის ბლოკი აწარმოებს. რაც შეეხება ბრიუსელის პაქტს (დასავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის—ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის სამხედრო კავშირი), კეის აზრით „იგი არ წარმოადგენს საფრთხეს საბჭოთა კავშირისათვის, ხოლო გენერალური შტაბი ფონტენბლოში თავისი შემადგენლობით ძალიან მცირეა, რომ შეშფოთება გამოიწვიოს“.

სხდომაზე გამოსულმა ტორეზმა მოიყვანა თავისი განცხადების ყველა პუნქტი, რომელიც მან 22 თებერვალს გააკეთა, და თქვა, რომ მას შეუძლია ზოგიერთი განმარტების მიცემა. ტორეზმა უწინარეს ყოვლისა განმარტა, თუ რატომ გამოიწვია ასეთი ხმაური მისმა განცხადებამ. „უეჭველია, ეს მოხდა,—თქვა მან, —თვით განცხადების შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც ზოგიერთმა მოიწონა და ზოგიერთმა სადაოდ გახადა. მაგრამ ძირითადად ეს აიხსნება იმით, რომ ჰიტლერულ გერმანიაზე გაერთიანებული ერების გამარჯვებიდან განვლილ ოთხ წელზე ნაკლები დროის შემდეგ საერთაშორისო ატმოსფერო კვლავ გაელექტრონებულია ელექტრობით და ომი ემუქრება შეშფოთებით მოცულ ხალხებს. მიმდინარე მომენტის პრობლემაა ომის ან ზავის პრობლემა. რა ომზეა ლაპარაკი? ჩვენი მეგობრისა და ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგ ომზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე, რომელშიც საფრანგეთს, რომელსაც წართმეული აქვს უშიშროებისა და რეპარაციების უფლებები, მოკავშირეებად ეყოლება დასავლეთ გერმანიის ნაციზმის ნარჩენები, მკვლელები, რომლებმაც მოსპეს ორადურ-სიურ-გლანის მოსახლეობა (საფრანგეთის დაბა, რომლის მცხოვრებლებიც გაჟლიტეს ოკუპაციის დროს. — რედ.) და ესპანელი ფრანკისტები“.

შემდეგ ტორეზმა განაცხადა, რომ მოვალეობის გრძნობა ავალებს კომუნისტებს უთხრან ფრანგ ხალხს „განსაკუთრებით აქტუალური საფრთხის შესახებ, რაც მსოფლიოს ემუქრება, ამ საფრთხის წყაროების შესახებ, მშვიდობის ხსნის გადაუდებელი და სასწრაფო საჭიროების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მშრომელები და მშვიდობის ყველა მეგობარი, თუ მათი ღონისძიებების მიუხედავად, ომის გამჩაღებლები დაიწყებენ თავიანთი გეგმის განხორციელებას“.

ამ საფრთხის მიზეზი, განაგრძო ტორეზმა, თვით კაპიტალიზმის არსია. ეს საფრთხე უფრო საშიში გახდა იმპერიალიზმის ეპოქაში, კაპიტალიზმის ახლანდელ ფაზაში, რომელიც წარმოადგენს მის უკანასკნელ ფაზას—გახრწნის ფაზას, რამაც ის გამოიწვია, რომ წარმოების დონე საფრანგეთში 1948 წელს არ აღემატება 1913 წლის წარმოების დონეს. „საერთაშორისო ტრესტები,—თქვა ტორეზმა,—მოგებისა და ზემოგების დევნაში შეუპოვრად იბრძვიან ახალი ბაზრებისათვის, ცდილობენ ხელახლა გაიყონ კოლონიურ ჩაგვრაში მყოფი ტერიტორიები და ეკონომიურად და პოლიტიკურად დაიმორჩილონ სხვა ხალხები. ამ ქიშპობამ უკვე ორჯერ ჩააგდო ხალხები საშინელ მსოფლიო ომებში — 1914 და 1939 წლებში. მე ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავ, რომ საბჭოთა კავშირი 1914 წელს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ომი ორჯერ წარმოიშვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“.

ტორეზმა ამხილა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარემოცვის აგრესიული პოლიტიკა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა „მარშალის გეგმით“ და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტით, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობის პოლიტიკას ახორციელებს და რომ მას საფრანგეთთან დადებული აქვს ურთიერთკავშირის ხელშეკრულება. „მეტ წილ ფრანგ ქალებსა და კაცებს,—თქვა დასასრულ ტორეზმა, —სურთ დარჩნენ ურთიერთკავშირისა და მეგობრობის შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ერთგულნი. ფრანგი ხალხის მიერ გადატანილმა მძიმე განსაცდელმა დაანახვა მას, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთკავშირი მისი დამოუკიდებლობისა და უშიშროების ყველაზე ნამდვილი გარანტიაა და ამავე დროს საყოველთაო მშვიდობის გარანტიაა... ფრანგი ხალხი გმობს ანტისაბჭოთა კამპანიისაკენ, საბჭოთა კავშირისადმი ცილისწამების კამპანიისაკენ დაბრუნებას, რასაც სასამართლოს დარბაზშიც კი ახორციელებენ, სადაც გამცემლებსა და სამხედრო დამნაშავეებს საშუალებას აძლევენ გალანძღონ მათი ქვეყანა და მეგობრული მთავრობა, რომელიც საფრანგეთის მოკავშირეა.

ჩვენ მადლობას ვუხდით სტალინს და აღფრთოვანებული ვართ ფრანგი ხალხით, რომელმაც არ დაივიწყა სტალინგრადი“.

კომუნისტმა ტურნმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა ჩუმად ამზადებს ომს, თქვა: „მაგრამ საფრანგეთის ხალხი, საბედნიეროდ, გაფრთხილებულია ამის შესახებ. ყველგან მოქმედებენ მშვიდობის მეგობრები. ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

კომუნისტმა ჟაკ დიუკლომ გააკრიტიკა პოლიტიკა საფრანგეთის მთავრობისა, რომელიც მონაწილეობს სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული გეგმების მომზადებაში, და თქვა, რომ „საფრანგეთის მთავრობა ემზადება დაარღვიოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ურთიერთკავშირის შესახებ“. „მთავრობას არა აქვს არც გამბედაობა, არც პატიოსნება, რომ მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია,—თქვა დიუკლომ,—ვინაიდან მან იცის, რომ ეს გამოიწვევს მთელი საფრანგეთის აღშფოთებას“.

დასასრულ დიუკლომ მოიყვანა პეტენის მთავრობის ყოფილი მინისტრის ვინმე რივიერის სიტყვები, რომელმაც ამას წინათ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „საჭირო იყო ტორეზის მოკვლა“. „მაგრამ კომუნისტებს ვერ შეაჩერებს ვერც შეურაცხყოფა, ვერც მუქარა, —თქვა დიუკლომ.—საფრანგეთის ხალხი გაერთიანდება და იხსნის მშვიდობას იმათ მიუხედავად, ვისაც ომი სურს“.

კამათის დამთავრების შემდეგ შეტანილ იქნა 4 რეზოლუცია. დეგოლელმა დეპუტატმა ტერნუარმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ კომუნისტების მიმართ გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელს უმაღლესი სახელმწიფო ღალატისათვის.

ეს რეზოლუცია უარყოფილ იქნა 500 ხმით 52-ის წინააღმდეგ, ე. ი. დეპუტატთა დიდი უმრავლესობის მიერ.

საპარლამენტო უმრავლესობის პარტიებმა ვერ გაბედეს მხარი დაეჭირათ ამ გამოხდომისათვის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და შემდეგ უარყვეს რეზოლუციები, რომლებიც შეიტანეს კომუნისტურმა ჯგუფმა და „პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის“ ჯგუფმა (ამ ჯგუფს წინათ ეწოდებოდა „წინააღმდეგობის რესპუბლიკური კავშირი“ და ემხრობოდა კომუნისტურ ჯგუფს, ახლა კი მისი ზრდის გამო ავტონომიური გახდა). ეს რეზოლუციები გმობდნენ ომისათვის მზადების პოლიტიკას, რასაც მთავრობა ახორციელებს.

შემდეგ ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა მთავრობაში შემავალი პარტიების ლიდერების მიერ შეტანილი რეზოლუცია; ეს რეზოლუცია ნდობას უცხადებს მთავრობას და იწონებს მის მოქმედებას.

* * *

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით გამომძიებელი ჟადენი იკვლევს კომუნისტური პარტიის ლიდერების მორის ტორეზისა და მარსელ კაშენის საქმეს. დღეს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჟიულ მოკის პოლიციამ დაიწყო ლაშქრობა კომუნისტური პრესის წინააღმდეგ. გაზეთი „მონდი“ იუწყება, რომ გუშინ საღამოს და დღეს დილით გაჩხრიკეს კომუნისტური ყოველკვირეული ორგანოს „რეგარის“ რედაქცია. პოლიციამ დააპატიმრა ამ ორგანოს მთავარი რედაქტორი პიერ ჟიუენი, რედაქტორი ჟაკ ფრიდლანდი, მემანქანე ქალი და სამი სხვა თანამშრომელი.

გაზეთი „სე სუარი“ იუწყება, რომ გაჩხრიკეს აგრეთვე კომუნისტური ყოველკვირეული ორგანოს „ფრანს დაბორის“ შენობა და გამომცემლობა „ედისიონ სოსიალის“ შენობა.

ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ სამხედრო ბაზების აშენებას მექსიკაში

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჟურნალისტთა ადგილობრივ წრეებში აღნიშნავენ, უკანასკნელ დროს შეერთებული შტატები ძლიერ ცდილობენ მექსიკასთან დადონ ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომელიც ნებას მისცემდა შეერთებულ შტატებს შესდგომოდა სამხედრო ბაზებისა და სარადარო დანადგარების მშენებლობას მექსიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე უფლებას მისცემდა ამერიკის ფლოტს „დაეცვა“ მექსიკის სანაპირო. რაკი მექსიკის მთავრობა ითვალისწინებს განზრახული შეთანხმების არა მარტო არათანასწორუფლებიან, არამედ კაბალურ ხასიათსაც, შეთანხმებისა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მექსიკის სუვერენიტეტს, ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაგალითისამებრ უარს ამბობს ასეთი შეთანხმების ხელმოწერაზე.

როგორც იმავე წრეებში იუწყებიან, შეერთებულმა შტატებმა იმ მიზნით, რომ მიიღონ მექსიკის თანხმობა ასეთი შეთანხმების დადებაზე, იხმარეს მექსიკაზე ეკონომიური ზეგავლენის მთელი რიგი ღონისძიებანი. კერძოდ, შეერთებულმა შტატებმა მექსიკის მხრივ წინააღმდეგობის გასატეხად უარი თქვეს მექსიკას მიაწოდონ მოწყობილობა ნავთის მრეწველობისა და რკინიგზებისათვის, რაც მექსიკას დიდად ესაჭიროება.

საომარი მოქმედება საბერძნეთში

ბელგრადი, 28 თებერვალი. (საკდესი). როგორც რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ გადმოგვცემს, დემოკრატიული არმიის ნაწილები რამდენჯერმე დაესხნენ თავს მოწინააღმდეგის პოზიციებსა და კოლონებს გრამოსისა და კაიმაქჩალანის სექტორებში. მე-8 დივიზიის ნაწილებმა გრამოსზე მოსპეს სამეფო ჯარების მოტორიზებული კოლონა. დასახლებულ პუნქტ სარამდაპოროსთან დამარცხებულია ასეული, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდს იცავდა. მთელ ამ ოპერაციებში მოწინააღმდეგემ 80-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა, მოსპობილია 10 სატვირთო მანქანა და წამოღებულია დიდძალი ტყვია.

დემოკრატიული არმიის სხვა ნაწილებმა გააძლიერეს მოქმედება ქალაქებს გლაიანიცაში, გუმენისაში, არქსიუპოლისში, ედესასა და ვერიაში. გუმენისის რაიონში დემოკრატიული არმიის ნაწილებმა რამდენიმე სოფელი გაათავისუფლეს. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში სამეფო ჯარებმა ამ პუნქტებში 110 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

სისხლისმღვრელი ტერორი საბერძნეთში

ბელგრადი, 28 თებერვალი. (საკდესი). რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ ამტკიცებს, რომ, შემოწმებული ცნობებით, საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი პაპარიგასი მოკლულია გენერალ პაპაგოსის პირადი ბრძანებით. პაპაგოსმა ბრძანება გასცა აგრეთვე დახვრიტონ ბერძენი მოქალაქეები, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ვარკიზის 1945 წლის შეთანხმების შემდეგ, და დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში სასიკვდილო განაჩენები, რომლებიც სამეფო სამხედრო-საველე სასამართლოებს გამოაქვთ. ბრძანებაში პაპაგოსი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის და ემის ყველა დაპატიმრებული ხელმძღვანელის ფარულ ან აშკარა „ლიკვიდაციას“.

ბერძენი მუშების ხელმძღვანელი მარკენზისი, როგორც რადიოსადგური გადმოგვცემს, იმყოფება აგრეთვე დაპატიმრებულთა შორის, რომელთაც უშუალოდ მოელით სიკვდილით დასჯის საფრთხე. გამოჩენილი სახალხო მებრძოლი მენელაოს დრაგატისი უკვე დახვრიტეს.

შემთხვევა მონპელიეში

პარიზი, 28 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ლიბერასიონის“ კორესპონდენტი მონპელიედან იუწყება, რომ ზღვისგაღმა ტერიტორიების საქმეთა მინისტრს კოსტ-ფლორეს, რომელიც გუშინ ჯარის პარადს დაესწრო, ხალხი მტრული მანიფესტაციით შეხვდა. ხალხში გაისმოდა ძახილი: „დადეთ ზავი ვიეტნამთან“, „ძირს კოსტ-ფლორე!“

ხალხმა ბოლოს და ბოლოს გაარღვია პოლიციელთა რკალი და მინისტრს შეუტია ძახილით: „ზავი, ზავი!“ კოსტ-ფლორე სასწრაფოდ ჩაჯდა თავის ავტომანქანაში და მოტორიზებული პოლიციის თანხლებით წავიდა.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ საფრანგეთში

პარიზი, 28 თებერვალი. (საკდესი). მთელ საფრანგეთში ძლიერდება აღშფოთება პოლიციის თვითნებობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლიც გახდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წევრი, უმთავრესად ჟურნალისტთა წრიდან. ოთხი დაპატიმრებული ჟურნალისტი — ყოველკვირეულ „რეგარის“ რედაქტორი ჟაკ ფრიდლანდი, ყოველკვირეულ „ფრანს დაბორის“ ადმინისტრატორი რობერ პენიონ, ყოველკვირეულ „რეგარის“ მთავარი რედაქტორი პიერ ჟიუენი და მხატვარი ბერტრან ჟუენი — პარიზის საპატიმროში გაგზავნეს. მათ ბრალდებად წაუყენეს „სახელმწიფოს უშიშროებას ხელყოფა“ სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ერთიდან 10 წლამდე პატიმრობას და ჯარიმას 1.200 ათასამდე ფრანკის რაოდენობით.

ჟურნალისტმა ფრიდლანდმა პროტესტი განაცხადა პოლიციის რეპრესიების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ იგი პროფესიული ჟურნალისტია და რომ მასალები, რომლებიც პოლიციამ „საიდუმლოდ“ მიიჩნია, ჩვეულებრივი მასალებია, რითაც ყველა ჟურნალისტი სარგებლობს სტატიების შესადგენად.

სიმართლე ის არის,—წერს „ლუმანიტე“, — რომ მმართველები გაცოფებული არიან იმ ჟურნალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც სამხედრო მზადებას ამხილებენ, რამდენადაც ნამდვილად თვით მმართველები ხელყოფენ „სახელმწიფოს უშიშროებას“. მოყვანილი იყო ფანტასტიკური ცნობები ყოველკვირეულ „რეგარის“ რედაქციაში ჩხრეკის შედეგის შესახებ, მაშინ როცა პოლიციამ ჩხრეკის დროს აღმოაჩინა მხოლოდ უაღრესად ჩვეულებრივი ჟურნალისტური ჩანაწერები და ფოტოსურათები, რომელთაც სააგენტოები ავრცელებენ და რომლებიც მას შეეძლო ეპოვნა ყოველ რედაქციაში.

„კომბა“ იუწყება პარიზსა და პროვინციაში კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების შენობებში გუშინ საღამოს მოწყობილი ჩხრეკის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე, — განაგრძობს „კომბა“,—„გარდა საკითხისა კომუნისტი დეპუტატებისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ, მთავრობამ, როგორც ჩანს, განიხილა იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც მიღებულ იქნება ხელმძღვანელ კომუნისტთა მიმართ“.

„ფრან-ტირერი“ წერს: „გუშინ დააპატიმრეს კომუნისტური ახალგაზრდობის 50-მდე წარმომადგენელი, რომლებიც ხელწერას აგროვებდნენ ვიეტნამთან ზავის დადების სასარგებლოდ შედგენილ პეტიციებზე; დაპატიმრება მოახდინეს იმ საბაბით, რომ ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა არ ითხოვეს საზოგადოებრივ ადგილებში ასეთი მანიფესტაციების მოწყობის ნებართვა“.

კომპარტიის წევრთა თვითნებური დაპატიმრების წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს: უნიტარულმა სოციალისტურმა პარტიამ, სახალხო დახმარების საფრანგეთის ორგანიზაციამ, ზემო პირინეის დეპარტამენტის კომუნისტთა კონფერენციამ და სხვ.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 2-III „დაისი“ (5 აბ. 9 წარმ.), 3-III „მეფის საცოლე“ (6 აბ. 9 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 2-III „ქეთევან დედოფალი“ (19 აბ. 7 წარმ.), 3-III „ერთი ღამის შეცდომები“ (2 აბ. 6 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 2-III „ნინოშვილის გურია“ (6 აბ. 6 წარმ.), 3-III „გულსუნდა“ (17 აბ. 6 წარმ.);

ბერიას სახელობის კულტურის სახლი — 2-III „მზის დაბნელება“ (9 აბ. 6 წარმ. მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 3-III „ბაიადერა“ (2 აბ. 9 წარმ.).

მე-5 შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

მოქალაქე ლიზა მარტიროსის ასულმა შახნაზაროვამ, მცხოვრებმა ბოჭორიშვილის ქ., № 27, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე აკაკი ერმალოს-ძე ფრანგიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 1-ლი ინსტანცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ 23 და 24 თებერვლის პლენარულ სხდომებზე განიხილა სოციალური კომიტეტის რეზოლუციის პროექტი ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხთა ქვეკომისიის შესახებ.

რამდენიმე დღის წინათ სოციალური კომიტეტის სხდომაზე ინგლის-ამერიკის ბლოკმა არ დაუშვა საბჭოთა იმ წინადადებების განხილვაც კი, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ მართალი ინფორმაციის გავრცელებისათვის ხელშეწყობა, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს აგრესიის ნაცისტურ, ფაშისტურ ან სხვა რაიმე პროპაგანდას, ქვეკომისიის პირველი რიგის ამოცანაა, და რომ ქვეკომისიამ თავის საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელოს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციით, რომელიც გმობს ყოველგვარ სახის პროპაგანდას, რაც მიზნად ისახავს ან რასაც შეუძლია შექმნას ან გააძლიეროს საფრთხე მშვიდობისათვის, მშვიდობის დარღვევა ან აგრესიის აქტი.

იქვე, სოციალური კომიტეტის სხდომაზე, საბჭოთა წარმომადგენლის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიღებულ იქნა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც ითვალისწინებს ქვეკომისიის გადაქცევას მუდმივმოქმედ ორგანოდ და რომელიც რჩევას იძლევა ქვეკომისია შეიქმნას არა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, არამედ კერძო ექსპერტებისაგან. ეს,—როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, —ამცირებს ქვეკომისიის ავტორიტეტს და ქმნის პირობებს ქვეკომისიაში ადგილების განაწილების სამართლიანი გეოგრაფიული პრინციპის დასარღვევად.

ეკონომიური და სოციალური საბჭოს სხდომაზე ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა. მან აღნიშნა, რომ ქვეკომისიის მუშაობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ალვირახსნილ კამპანიასთან დაკავშირებით, რასაც ამჟამად ახალი ომის პროპაგანდისტები და გამჩაღებლები ეწევიან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1947 წლის 3 ნოემბრის შემდეგ, როცა გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს აგრესიის პროპაგანდის ყოველგვარ ფორმას, ომის გამჩაღებელთა აქტივობა არა თუ არ შეჩერებულა, არამედ უფრო გაძლიერდა.

ცარაპკინმა მოიყვანა ამერიკული პრესის ასეთი პროპაგანდის მრავალი მაგალითი და ამასთან საბჭოს გაახსენა, რომ ახალი ომის გამჩაღებლები ამჟამად ისევე მოქმედებენ, როგორც თავის დროზე, მსოფლიო ომის წინ, ჰიტლერელი ომის გამჩაღებლები მოქმედებდნენ.

საბჭოთა წარმომადგენელმა საბჭოს განსახილველად შეიტანა სოციალური კომიტეტის რეზოლუციის პროექტის მთელი რიგი შესწორებანი. საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებდნენ, რომ ქვეკომისიის პირველი რიგის ამოცანა იყოს მართალი ინფორმაციის გავრცელებისათვის ხელშეწყობა, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს აგრესიის ნაცისტურ, ფაშისტურ ან რაიმე სხვა პროპაგანდას. ამ ამოცანის შესრულებისას ქვეკომისიას ურჩევდნენ იხელმძღვანელოს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 3 ნოემბრის ზემოთხსენებული რეზოლუციით. ნავარაუდევი იყო გამორიცხვა პუნქტისა მუდმივმოქმედ ორგანოდ ქვეკომისიის გადაქცევის შესახებ და იმის აღნიშვნა, რომ ქვეკომისია უნდა შედგებოდეს მთავრობის წარმომადგენლებისაგან და არა კერძო ექსპერტებისაგან.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად საბჭოთა დელეგაციის ძირითადი წინადადებანი ინგლის-ამერიკის ბლოკმა უარყო ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში 11 ხმით სამის წინააღმდეგ (საბჭოთა კავშირი, ბელორუსიის სსრ და პოლონეთი), ოთხმა თავი შეიკავა (ჩილეთი, ინდოეთი, ლიბანი, ვენესუელა).

საბჭომ დაამტკიცა სოციალური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია.

რადიოკვანძი საწარმოებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატში მოეწყო რადიოტრანსლაციო კვანძი. სისტემატურად ეწყობა კომბინატის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაცემები და წარჩინებულ ადამიანთა გამოსვლა მიკროფონთან გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით.

რადიოკვანძს 500 წერტი აქვს. ისინი დადგმულია როგორც კომბინატის საწარმოო კორპუსებში (საამქროები, განყოფილებები), ისე მუშათა საერთო საცხოვრებლებში.

თავისუფალ საათებსა და დასასვენებელ დღეებში მუშები საკუთარი რადიოკვანძიდან ისმენენ ახალ ამბებს.

სტადიონის მშენებლობა

ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს მიმდინარე წლის სპორტული სეზონის დაწყებამდე დაამთავრონ სტადიონის მშენებლობა. 20 თებერვალს მოაწყეს კვირაობა, რომელშიც მონაწილეობდა 160 კომკავშირელი და კომკავშირგარეშე ახალგაზრდა. მათ 120 კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს.

სასამართლო

კომბინატორები დაისაჯნენ

საქართველოს კოოპინკავშირის თბილისის არტელ „კვების“ ბუხჰალტერმა მისე სამსონიძემ და მისმა ამყოლდამყოლებმა გურჯაანის არტელ „თავისუფალ შრომიდან“ ღვინის გამოსასყიდად ბანკში გადარიცხული 410.000 მანეთი ყალბი აქტებით გამოიტანეს და ღვინის ფასის ხელოვნურად გაზრდის გზით 161.000 მანეთი მიითვისეს.

კოოპერაციული თანხების მითვისებაში სამსონიძეს გაუწიეს არტელის ახალმა ბუხჰალტერმა ი. ჯიბუტმა და ახალმა თავმჯდომარემ გ. ქვათაძემ. ისინი დაუკავშირდნენ კიროვის ოლქის ვიატსკო-პოლიანსკის კოოპინკავშირის წარმომადგენელ კლაბუკოვს, ამ უკანასკნელს 12 ტონა არყის დამზადება აღუთქვეს და ყალბი აქტებისა და რკინიგზის ზედნადების წარდგენით ბანკიდან 1.600.000 მანეთი გამოიტანეს. შემკვეთელს 12 ტონის ნაცვლად 10 ტონა ჩალის ფასად შეძენილი არაყი გაუგზავნეს, არყის საფასური ხელოვნურად გაზარდეს და 177 ათასი მანეთი მიითვისეს.

არტელ „კვების“ კომბინატორებს არც არტელ „აღორძინების“ მესვეურები ჩამორჩნენ. საპნის სახარშ საამქროს გამგემ ა. სიმონიანმა ვინმე ლეზგიშვილისაგან 44.000 მანეთად შეიძინა ნაქურდალი 1.100 კილოგრამი კანიფოლი და 300 კილოგრამი საპნის სოდა, საბუთებში კი გააფორმა, ვითომც საპნისათვის გურჯაანში დაამზადეს 1,5 ტონა გადამდნარი ქონი და დახარჯეს 130.000 მანეთი. კანიფოლით დამზადებული საპონი სპეკულანტურ ფასად გაყიდეს და ფული თვითონ მიისაკუთრეს.

კომბინატორთა საქმე გაარჩია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. გ. რუხაძის თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარი დაუჭირა თბილისის ქალაქის პროკურორის მოადგილემ იუსტიციის მრჩეველმა ამხ. ს. ქაჯაიამ.

სასამართლომ ბრალდებულებს გიორგი ქვათაძეს და არშაკ სიმონიანს მიუსაჯა 15 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა, მთელი ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. მ. სამსონიძეს, ი. ჯიბუტს, ვ. ქართველიშვილს, ა. ხელიპანოვს, ა. მუსიევს, მ. წერეთელს, გ. გაბუნიას, ა. ანტონოვს, გ. ლეზგიშვილს და სხვებს მიესაჯათ 2 წლიდან 12 წლამდე შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა, ქონების კონფისკაციით და სხვადასხვა ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

გ. ხინგავა

მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

ეკონომიური და სოციალური საბჭო 24 და 25 თებერვლის სხდომებზე განაგრძობდა მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის საკითხის განხილვას. 24 თებერვლის დღის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა.

ცარაპკინმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობას 1948 წელს ახასიათებს, ერთი მხრივ, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და, მეორე მხრივ, კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიური განვითარების ძირითადი განსხვავება.

სსრ კავშირის სამეურნეო განვითარებას 1948 წელს ახასიათებს შემდგომი აღმავლობა მთელი სახალხო მეურნეობისა, რომელმაც გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოპოვებულია მრეწველობის დარგში, რომელმაც პროდუქციის გამოშვების 1940 წლის დონეს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ამასთან სსრ კავშირის მრეწველობის განვითარება ომისშემდგომ პერიოდში მზარდი ტემპით მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღმავლობას 1948 წელს თან ახლდა მოსახლეობის კეთილდღეობის დიდი ზრდა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომლებმაც 1948 წელს განახორციელეს პროგრესული რეფორმები, მიაღწიეს მრეწველობის (რომელმაც გადააჭარბა ომამდელ დონეს) განუხრელ აღმავლობას და უზრუნველყვეს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა.

მეორე მხრივ, კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობას 1948 წელს ახასიათებს ეკონომიური მდგომარეობის უთანაბრო განვითარება და უმტკიცობა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სამრეწველო განვითარების ტემპის შენელებით ზოგიერთ ქვეყანაში და მოდუნებით ან დაცემით სხვა ქვეყნებში, ინფლაციის ზრდით, უმუშევრობის გადიდებით, მშრომელთა საარსებო დონის დაქვეითებით, ამავე დროს კი კაპიტალისტური მონოპოლიების მოგების მნიშვნელოვანი ზრდით.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკა, რასაც შეერთებული შტატები ახორციელებენ და რაც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დამორჩილებას, დისკრიმინაციის პოლიტიკა საგარეო ვაჭრობისა და კრედიტების დარგში, გამალებული შეიარაღება — ყოველივე ეს ძირს უთხრის ნორმალურ საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობას.

სსრ კავშირის დელეგაცია ფიქრობს,—თქვა ცარაპკინმა,—რომ მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ საბოლოო მოხსენებისა და შემდგომ მოხსენებათა მომზადებისას, გათვალისწინებულ იქნება სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი შენიშვნები.

ინგლისის, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგატები ამაოდ ცდილობდნენ გაებათილებინათ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენელთა სიტყვებში მოყვანილი ცნობები და ფაქტები ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში წარმოების განვითარების შენელებული ტემპისა და დაქვეითების შესახებ, ევროპის ქვეყნების ეკონომიკაზე „მარშალის გეგმის“ დამღუპველი გავლენისა და ამ ქვეყნებში მოსახლეობის საარსებო დონის შემცირების შესახებ.

მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის საკითხზე დისკუსიის დამთავრების შემდეგ საბჭოს უმრავლესობამ 15 ხმით (სამმა თავი შეიკავა) დაადგინა — მიღებულ იქნას ცნობად სამდივნოს მოხსენება 1948 წელს მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობაში ძირითადი ცვლილებების შესახებ და ურჩიოს სამუშაოთი უზრუნველყოფისა და ეკონომიური სიმტკიცის საკითხთა ქვეკომისიას წევრ სახელმწიფოებს, რეგიონალურ-ეკონომიურ კომისიებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს ყურადღება მიაქციონ მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ საბჭოში დისკუსიის დროს გამოთქმულ შენიშვნებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი. (საკდესი). პროგრესული პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ წარუდგენია და არ განუხორციელებია რაიმე ღონისძიება „უმუშევართა მზარდი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“.

„უკანასკნელი კვირეების მანძილზე მომხდარმა ამბებმა,—ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში,—დაამტკიცეს, რომ შეიარაღების პროგრამაზე და ცივი ომის ხარჯებზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკა ქვიშას ემყარება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების მკვეთრი შემცირება და ექსპორტის შემცირება საშიფათო ნიშნებია, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება. მათ თან ახლავს უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. ჩვენი ეკონომიკის სერიოზულმა მოშლამ, კერძოდ, თავი იჩინა ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ მრეწველობაში. ამ საქონლის გაყიდვა შემცირდა საინფლაციო ფასებისა და მკვეთრად მზარდი უმუშევრობის შედეგად. ახალგაზრდა მუშები, ზანგი მუშები და მუშა ქალები მომავალი ეკონომიური კრიზისის პირველი მსხვერპლი იყვნენ“.

პროგრესული პარტიის ლიდერები თავიანთ ორგანიზაციებს შტატებში მოუწოდებენ შექმნან კომიტეტები, რათა დაეხმარონ უმუშევართ დახმარების ან სხვა რაიმე შემწეობის მიღებაში.

მწერალთა კავშირში

4 მარტს მწერალთა კავშირის კლუბში კომკავშირის ორგანიზაცია აწყობს „ახალგაზრდა მწერლების კრებულის“ საჯარო განხილვას. მოხსენებას გააკეთებს ბ. ჟღენტი.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, პოეტები და კრიტიკოსები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

დღეს კინოთეატრებში

რუსთაველის სახ. რუსთაველის პროსპ., 7 ტელეფონი 3-09-50.	„საჰაერო აკრობატები“ დასაწყ. 4, 6, 8 და 10 ს.
ამირანი პლეხანოვის პროსპ. 125 ტელეფონი 3-48-61.	„დიპლომატის შეცდომა“ დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.
ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ. 135. ტელეფონი 3-39-84.	„აკადემიკოსი ივანე პავლოვი“ დასაწყ. 3-45, 5-45, 7-45 და 9-45 ს.
სპარტაკი რუსთაველის პროსპ. 28. ტელეფონი 3-08-27.	„დიპლომატის შეცდომა“ დასაწყ. 1, 2, 4, 5-30, 7-50, 9-50 ს.
„თბილისი“ კირვიაძეილის ქ. № 2. ტელეფონი 3-57-88.	„აკადემიკოსი ივანე პავლოვი“ დასაწყ. 4-30, 6-30, 8-30, 10-30 ს.
26 კომისრის სახ. შაუმიანის მოედანი, 1. ტელეფონი 3-43-09.	„დიპლომატის შეცდომა“ დასაწყ. 1, 2, 3, 4, 5, 6 ს.
„ქრონიკა“ პლეხანოვის პროსპ. 125	„გაზაფხულის სეემრები“ „ძველი ეზო“ „საბჭოთა სპორტი“ „შრომის ოჯახში“ დასაწყ. 5, 6-15, 7-30, 8-45 და 10 ს.

დედა ალათი, ძმა გრიგოლ, ბიძაშვილები მარო, ნადია, ტატიანა და შოთა თაკვარელიები იუწყებიან ქსენია მიხეილის ასულ თაკვარელიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ონტოფოში (აბაშის რაიონი).

შვილები ნაზიკო, ნოდარ, და მარგარიტა მეცხრიკაძე, სიძე იაკობ ტრიპოლსკი იუწყებიან მარიამ ივანეს ასულ მეცხრიკაძე-მაისურაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3, 4, 5-III, 7 ს. გამოსვენება 6-III, 2 ს. გოგებაშვილის I შესახ., 12.

მეუღლე ტერეზი, შვილი ალექსანდრე, რძალი ვალენტინა, შურა და ირა სიხარულიძეები იუწყებიან მიხეილ გაბრიელის-ძე სიხარულიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-III, 7 ს. გამოსვენება 3-III, 4 ს. გრიბოედოვის, 25.

მშობლები თედო, ელენე, და ვალენტი კარდენახიშვილები, დეიდა ანეტა, ბიძები ნიკო, სიკო, მამიდა თამარ ოჯახებით, დარიკო შათაშვილი იუწყებიან ლიზა კარდენახიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III დ. ველისციხეში.

ს. ბექანოვი, ნ. ყიფიანი, ი. ჩიქვაიძე, მ. სემერჯიანი, ი. ხუციშვილი, ნ. ლეჟავა, ა. ნოღაიძე, ე. იშხანოვა, ი. გრებენიკი, ი. მეტრეველი, ი. ბობოხიძე, ვ. კერესელიძე, გ. ზახაროვი, ა. შარმაზანაშვილი იუწყებიან ივანე მიხეილის-ძე ქავთარაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III სოფ. ახაშენში (გურჯაანის რაიონი).

ძმა იოსებ, რძალი ტატიანა ალექსიშვილები შვილებით კოლა და ნინოთი იუწყებიან ნინო კონსტანტინეს ასულ ალექსიშვილი-ცაგარლის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-III, 7 ს. გამოსვენება 3-III, 5 ს. კოდორის, 8.

მელანია ჯღუნიაშვილი, ეკატერინე ფერაძე, ნინო და ირაკლი მესხები, თამარ და ნიკოლოზ თუმანიშვილები შვილებით იუწყებიან ნუცა გრიგოლის ასულ მაჩაბლის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-III, 7 ს. გამოსვენება 3-III, 4 ს. წილკანის, 3.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ნინო, შურა, სიძეები თ. ბაკურაძე, ვ. დარაშვილი, კობა, მანანა და ვაჟა იუწყებიან ტარასი დავითის-ძე ჯაშის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-III ბასილეთში (ჩოხატაურის რაიონი).

დები ეკატერინე და მაშო სანოძეები, სიძე ალექსანდრე ბახტაძე შვილით ჟუჟუნათი იუწყებიან გრიშა გიორგის-ძე ხანოძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან კ. ქარცივაძის დედის ანა ხაყვარელის ასულ ქარცივაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა მახარაძეში.

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლოგინობის ხანის დაავადებათა კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ცაგარელს მისი დედის ნინო კონსტანტინეს ასულ ცაგარლის გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-08-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80 88, კულტურის, უფლაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 118.000 უე 00722